3-17
ეროვნული ბიბლიოთეკა

# 4



# პიონერი

სახელგამი
1932

მუშათა საქმისათვის იყავ მზად!

# პიონერი

საქართველოს ბ. ქ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი ბავშვთათვის.

№ 4

მარტი
1932
წელიწადი მე-7
რედაქციის მისამართი:
ალმასკომის ქ., № 7.
სახელგამი,
საყმაწვილო და საბავშო სექტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინაარსი

1. წითელი თებერვალი,--(ლექსი) გ. ქუჩიშვილი
2. ნამდვილი დამკვრელი,— ლ. ჭიჭინაძე, ნანახატები ი. ტიმოფეევის
3. ჩვენი სალამი წითელ არმიას,—ლექსი გ. ქ.
4. ამიერ-კავკასიის ფედერაციის 10 წლის თავი—მამია ორახელაშვილი
5. მეტი ყურადღება პიონერორგანიზაციებს—თარგმანი რუსულიდან
6. დამკვრელის სიმღერა—(ლექსი) ნოე დაფნარელი
7. გაზაფხული—ი- აგურაშვილი, ნახატი ი. ტიმოფეევის
8. ლუტუნა და სტეფანე—დასასრული— ბ. ჩხეიძე
9. გალვიძებული დედამიწა. ფანტასტ. მოთხ. ხ. ბელიაევის
10. სურამის ელექტროფიკაცია,—საშა
11. ავტოგზის ნორჩი მეგობრები—თარგ. თ. მ.
12. მოზარდ მაყურებელთა თეატრი— კ. მელაძე



აბაშის კოლმეურნეობის სალეწი მანქანები



ბათუმი. ბაქო-ბათუმის ნავთსადენი ქარხანა

სარედაქციო კოლეგია: ან. გველესიანი, კ. მელაძე, შ. თაბუკაშვილი, გ. ლომიძე, ირ. აბაშიძე, ბ. ბარსეგიანი, გრ. გიორგაძე.

პასუხისმგებელი რედაქტორი კ. მელაძე.

3-47

ეროვნული ბიბლიოთეკა



სრულიად საქართველოს კომპარტიის (ბ) მე 8 ყრილობის პრეზიდიუმი

384

# წითელი თებერვალი

თერთმეტი წლის
ბრძოლის გამომსახველი,—
თებერვალი
ჩვენი ოქტომბერია,
და საბჭოთა საქართველოს
სახელი
ძლევამოსილ
დროშებზე გვიწერია!

სიძნელეს რომ
ქედი არ მოვუხარეთ,
რომ ზღუდენი
ვძლიეთ გადულახველი,—
მისთვის ისმის
ჩვენს რიგებში მქუხარედ
ლენინის და
კომპარტიის სახელი!

ბოლშევიკურ
შრომის გამომსახველი
სოცშეჯიბრის
დროშები რომ ფრიალებს,—
ბრმათათვისაც
გახდა თვალის ამხელი,
ყრუთაც ესმით
ინდუსტრიის გრიალი!

თუ ხუთწლედი
გვაქვს მხრებით ატანილი,
თუ ცხოვრებას
ვქმნით ახალს და ღონიანს,
ეს იმიტომ,
რომ ბელადი სტალინი
გვაპყრობინებს
ყვილგან გეგემონიას!

მუშურ - გლეხურ
ქვეყნის შემოქმედება
ახალ - ახალ
მრეწველობას აჩაღებს
და რაც, მეტი
გიგანტები შენდება,—
დამბლასა სცემს
ბურჟუებს და ყაჩაღებს!

ვინც ვერ ჰხედავს
რაც ხალხს უკეთებია,—
ან ბეცია,
ან გონებით მტერია!
ამ ეპოქის ცეცხლი
ვისაც ნთებია,
გამარჯვების ჰიმნიც
მას უმღერია!

თვით სოფლების
ყრუ და ბნელ ხევულებშიც
კომუნიზმის
ნაპერწკლები ღვივიან,
ჩამორთმეულ
კულაკთა მამულებში
ღარიბების
ძმური კოლექტივია!

და იქ, სადაც იყო უწინ
უკუნი,
სადაც მხოლოდ
მიკიოტი ჰკიოდა,—
ჰაერს არხევს
ელსადგურის გუგუნი
და კონცერტი
ხმამაღალ რადიოდან!

თერთმეტი წლის
ბრძოლის გამომსახველი
თებერვალის დროშები რომ
ფრიალებს,—
ბრმათათვისაც
არის თვალის ამხელი,
ყურთაც ესმით
ამ ეპოქის გრიალი!

გ. ქუჩიშვილი.

საქართველოს სახელმწიფო ... თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნამდვილი დამკვრელი



1

სოფელ ზელდულეთის კოლმეურნეობის ახალგაზრდობის სკოლის ფარდულებში ქარი შემოიჭრება, მერე მხარს აიქცევს და სხვა მიმართულებით დაქრის. ზუზუნით და წივილით ქრის ქარი კოლმეურნეობის ახალგაზრდობის სკოლის სახურავზე.

მიწაში ნახევრად ჩაფლულ სახლის კარზე პატარა ბიჭი გადმოხტა, გვერდზე წიგნებით სავსე ჩანთა აქვს ჩამოკიდებული, უკან დედა გადმოჰყვა და სკოლისაკენ ხტუნვით მიმავალს შემდეგი სიტყვები გააყოლა:

— შვილო, თოვლს არ მოკიდო ხელი, თორემ გაცივდები... ბავში უკან მოუხედავად მირბის და დედას უპასუხებს:

— არა, დედილო, ნუ გეშინია!

ბავში, რომ მეზობლის სახლებს მოეფარა, მერე დედა შემობრუნდა სიცივით აკანკალებული შინ, დაფერფლილი ცეცხლი შეაჩიჩხალა და ხელების თბობა დაიწყო.

გავიდა რამოდენიმე ხანი...

დედა ისევ ზის ცეცხლისპირას, თვალიმფერფლავი მოგუზლებისკენ აქვს მიპყრობილი და ფიქრობს შვილზე... შვილზე, რომელიც სკოლაში გაემგზავრა.

2

მობუზული ბავშვები სკოლისაკენ მირბიან.

ბავშებს სცივათ, მაგრამ მაინც სიცილითა და ყიჟინით შემორბიან სკოლის თოვლიან აივანზე, შემოსვლისთანავე პალტოს უბიდან თბილ ხელებს გამოიღებენ, თოვლს გაიცლიან და მხიარული სახით შეხტებიან სასწავლო ოთახში.

ოთახიც გაყინულია.

— ბიჭო, ცეცხლი რატომ არ ანთია?

— შეშა გათავებულია და მისთვის.

— მერე რაა, გივის მამას ხომ უნდა მოეტანა?

— უნდა მოიტანა, მაგრამ მარხილი გატეხია,—თქვა ერთმა ბავშმა, რომელსაც წიგნი ხელში ეკავა და ლექსს იზეპირებდა. ლექსის სტრიქონებს ხმამაღლა იმეორებდა, გეგონებოდა კაცს, თითქოს ვიღაცას ბრძოლაში იწვევდა.

— პირიანი კაცია, უთუოდ მოიტანს,—თქვა მოზრდილმა ბიჭმა, რომელსაც ხელები ჯიბეში ჩაეწყო და მასწავლებლის მაგიდასთან ნელი ნაბიჯით წინ და უკან დადიოდა.

ზოგი ბავშები ჩამომჯდარიყვნენ თავიანთ მერხებზე და სიცივისაგან მობუზულნი მორცხვად გამოიყურებოდნენ. ზოგს წიგნი აეღო ხელში და გაკვეთილებს იმეორებდნენ. ზოგიც მოწაფეთა შორის მიდი-მოდიოდა, ხელში სია ეჭირათ და ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერად ფულს აგროვებდნენ.

— ამხანაგებო, თუ ჟურნალ-გაზეთები ყველამ არ გამოიწერეთ, ჩამორჩებით. ხომ იცით, წარსულ თვეში ჩვენმა სკოლამ პირველობა აიღო პრესის საკითხში. ჩვენ შორის ვრცელდებოდა ას ორი ცალი „ახ. კომუნისტი“ და ორმოცდაშვიდი ცალი ჟურნალი „პიონერი“.

— რა აგიტაციას ეწევი, თუ იცი —იოხუნჯა ერთმა.

— აი, ამხანაგო, ფული, მაგრამ ბორიას დროს, რომ იყო, ისე არ მოგვივიდეს, ფულის გადახარჯვა არ მოხდეს.

— მაშასადამე, შენ სამი თვით გინდა?

— ნამდვილად.—იყო პასუხი.

ბიჭები ხტოდნენ და სიცივეს ვეღარც კი გრძნობდნენ. ღამის სიცივისაგან გაყინული საკლასო ოთახი ბავშვების ჟრიამულმა გამოაცოცხლა.

— მიტო, რამდენს სჭამ, შინ ვერ ისაუზმე?

— ადრე მოვდივარ და ველარ ვასწრებ.

— მაშ შენზე ყოფილა თქმული:
„პური ჭამე და წყალი სვი,
გულზე მოგივა ხალისი“.

ერთმა ასე იხუმრა და სხვებმა გაიცინეს.

— რა დროს ოხუნჯობაა—წაილაპარაკა მიტომ და კიდევ უფრო მადიანად ჩაიდო პურის ნატეხი პირში, შემდეგ კი ციბრუტივით დატრიალდა.

3

— ამხანაგო, მე და შენი სოცშეჯიბრება როგორ მიმდინარეობს?

— კარგად, — უპასუხა ტატემ.

პიონერებიც იბრძვიან წერაკითხვის უცოდინარობის მოსპობის საქმისათვის. მათ ფართოდ დაამუშავეს საკითხი თავიანთ კრებაზე და ყველამ ისეთი დასკვნა გამოიტანა, რომ უცოდინარობა მუშათა კლასის უსაშინელესი მტერია.

ზელდულეთის კოლმეურნეობის ახალგაზრდობის სკოლის პიონერებმა, როცა წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობის საკითხი დაამუშავეს, ბევრმა ერთი-მეორე სოცშეჯიბრებაში გამოიწვია, ზოგმაც თავი დამკვრელად გამოაცხადა.

ტატეც ერთ-ერთი დამკვრელი პიონერია. რაზმის კრებაზე მან განაცხადა:

— მე მწამს, რომ უცოდინარობა ხალხის უსაშინელესი მტერია, ამისათვის ვაცხადებ თავს დამკვრელად და ერთ თვეში ვასწავლი წერა-კითხვას სამ უცოდინარს: მამას, დიდას და ჩემს ძმას...

პიონერების მხიარულებით ალსავსე ყიჟინამ და მქუხარე ტაშმა ტატეს

უკანასკნელი სიტყვები ხმაურში გაბნია და აღარაფერი ისმოდა.
სიხარული შეიჭრა მთელ დარბაზში და მთელი დარბაზი იცინოდა.

4

ტატეს დედა ცეცხლთან ზის და ართავს მატყლს, მამას მუხლებზე შემოუწყვია ხელები და თვალები ცეცხლისკენ მიუპყრია, თითქოს იქ რაღაცა დაჰკარგვია. ტატეს ძმას გერისოს კი ჭრელი მსუქანი კატა, აუყვანია ხელში და პატარა ბავშივით ათამაშებს.
კარგა ხანია ტატე სკოლიდან მოვიდა. მეცადინეობა დაასრულა. ისიც ცეცხლის პირას დაჯდა.
ბავშობა სავსეა სიმკვირცხლით, ტატეც ასეთია. ის ჩაჯდა მშობლებს შორის და მათი ნახევრად მთვლემარე წუთები დაარღვია.
ტატე მოუთხრობდა მშობლებს, რაც კი იმ დღეს სკოლაში გაეგონა. მშობლებს უხაროდათ, თანაც წაქეზებით ეუბნებოდნენ:
— კიდევ რა ისწავლე?—შეეკითხა დედა.
— აი ეგრე, შვილო,—კმაყოფილებით უყვავებდა მამა პატარა შვილს.
— ტატე, აი კატას ეთამაშე,— დაუძახა გერისომ და თანაც კატა ტატეს კალთისკენ გადაისროლა.
ბავშმა ხელი წაავლო კატას, მოეალერსა, ულვაშებზე ხელი მიმოუსვა, მაგრამ კატას არაფრად ესიამოვნა ტატეს ცელქი ხელები...
კატამ ჩხავილი დაიწყო.
— ვაი შენ და ჯლადო!—მკვახეთ შეუტია ტატემ და კატა ბურთივით გადაისროლა გვერდზე.
ბავში უცებ დაფიქრდა.
პატარა ხნის დუმილის შემდეგ ტატე ზეზე წამოხტა, ბუხართან მხოლოდ მისი სამიოდე სიტყვა დარჩა.
— აუცილებლად დამავიწყდებოდა, რომ...
ტატემ აზრი აღარ დაამთავრა და ისე გახტა კარებში. მშობლებმა მხოლოდ თვალი გააყოლეს, იციან, რომ ტატე ჩქარა დაბრუნდება, ის ახალ რამეს მოიტანს.
სახლში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა...

5

—დედილო, იცი რა მოგიტანე?
—ტატე ხტუნვითა და ჩვეულებრივი მხიარული სახით შეიჭრა სახლში.
— რა მოიტანე შვილო?—უთხრა დედამ და ბავშს მიაცქერდა..
— ეს შენ, დედი. ეს მამაჩემს და ესეც გერისოს..
— რა არის, ბიჭო ეს?!—გაკვირვებით შეეკითხა მამა, თანაც წიგნს განცვიფრებით უცქერის.
— წიგნია, მამილო.
სთქვა ტატემ და ტუჩებზე კი ღიმილი აქვს გაბნეული.
— ვიცი, მაგრამა...
დედა ფურცლავს წიგნს.
ტატეს ეძნელება ლაპარაკის დაწყება. მას უნდა რაღაც სთქვას, მაგრამ რომელი სიტყვით დაიწყოს, არ იცის. ბოლოს და ბოლოს აზრი, რომელიც ადამიანს მოუვა თავში აუცილებლად გამოითქმება თავისებურ ფორმებში.



დამკვრელი გოგონა ზეინკალი

— ერთი დიდი საქმის შესრულება ვიკისრე—დაიწყო ტატემ.—მამი, ხომ გამიწევ დახმარებას?
— კი, შვილო!
— შენ, დედილო? ღიმილით ეკითხება ტატე დედას.
— მეც მოგეხმარები, შვილო.
— შენღა დამრჩი, გერისო. შენ რას იზამ?
— რა კითხვა მინდა. ხომ ხედავ რომ ხელს გიწყობთ, დაგეხმარები მაშ რა უნდა ვქნა.
— დღეს გაკვეთილების შემდეგ მოწაფეთა კრება გვქონდა. ჩვენმ[...] მასწავლებელმა ილაპარაკა: წელს აუცილებლად უნდა მოვსპოთ წერა-კი[...] თხვის უცოდინარობა. მოწაფეებ[...] ძაც ვიმსჯელეთ ამ საკითხზე. ბოლო[...] იმ დასკვნამდე მივედით. რომ ჩვე[...] ვასწავლოთ თითო უცოდინარს..
— კარგი, შვილო, თუ კი სწავლ[...] შეგიძლია, გვასწავლე.—სთქვა დე[...]დამ და წიგნს ჩაჰკირკიტებდა.
— მაშასადამე, გადავშალოთ პი[...]რველი გვერდი.
— აი პირველი გვერდიცა,—სი[...]ცილით თქვა გერისომ.
— რამდენი ასო არის ამ გვერ[...]დზე?
— სამი,—უპასუხა სამივემ.
— პირველი ასო არის „მ“, მეო[...]რე „კ“ და მესამე „ა“. მაშ თუ მიხ[...]ვდებით რა სიტყვა არის.
ტატამ ბგერები კიდევ ცალცალკ[...] ხმამაღლა გაიმეორა, რადგანაც მის[...] მოყვარეები შეჩერდენ და აზრის გა[...]მოტანა გაუძნელდათ. ბოლოს კი სა[...]მთავემ ერთად გაიმეორეს:
— „მკა“.
შემდეგ მეორე გვერდზე მოაძებ[...]ნია სამთავეს სათითაოდ ნაცნობ[...] ასოები. ისინი მოკლე დროის მან[...]ძილზე მეძებარ ძაღლებივით დაიგე[...]შენ, ნაცნობ ასოებს ყველგან არ[...]ჩევდენ..
ტატე სიხარულით აივსო.
იმედის ნაპერწკალი ღვივოდა მი[...] პატარა გულში და თანდათან რწმუ[...]ნდებოდა, რომ ის ნამდვილი დამკვრელი იქნება.

ლავ. ჯიჯინაძე



# ჩვენი სალამი წითელ არმიას

ნორჩ პიონერების
მხურვალე სალამი
უძლეველ
ჩვენს წითელ ჯარს,
მედგრად რომ
უჭირავს
მებრძოლი ალამი
მშვიდობიანობის
დარაჯად მდგარს!

იქ, ერთა ლიგაში
როცა ჩვენ მოვითხოვთ:
განიარაღებას
და ხალხთა ზავს,—
ჩინეთში ომია...
იაპონელები
ცეცხლით და მახვილით
ესხმიან თავს

თუმცა ჩვენს საზღვრებსაც
დღე-ღამე ზვერავენ,
ცოფიან მგლებივით
გვივლიან გარს,
მაგრამ ვეროსოდეს
ვერ გადმოსთელავენ
ინტერნაციონალურ
ჩვენ წითელ ჯარს!

„კულტურულ ევროპის“
წარმომადგენლებო!
უფრთხილდით
თქვენივე
მუშათა ჯარს!
გახსოვდეთ:
მსოფლიოს პროლეტარიატი
საბჭოთა ძმურ კავშირს
დაუჭერს მხარს!

მაშ, პიონერული
მხურვალე სალამი
ინტერნაციონალურ
ჩვენს წითელ ჯარს
მედგრად, რომ
წინ მიაქვს
მებრძოლი ალამი,—
სოციალიზმის
გუშაგად მდგარს!

**გ. ქუჩიშვილი.**



# ა.-კავკასიის ფედერაციის 10 წლის თავი

მალე ჩვენ ვიდღესასწაულებთ ამიერ-კავკასიის ფედერაციის ათი წლისთავს. ამ მოვლენას აქვს არა მარტო საშინაო საბჭოთა მნიშვნელობა, არამედ აგრეთვე უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობაც. ამიერ-კავკასიის ფედერაციის 10 წლის არსებობისა და განვითარების მაგალითზე სჩანს პროლეტარული რევოლუციის, საბჭ. ხელისუფლების (რომელსაც ბოლშევიკური პარტია ხელმძღვანელობს) ძლიერება ეროვნებათა ურთიერთობის იმ ურთულესი ამოცანების გადაჭრაში, რომელთა გადაწყვეტა არ ძალუძს ბურჟუაზიულ ხელისუფლებას და მის ყველაზე უფრო „მემარცხენე“ ნაწილს— ბურჟუაზიულ დემოკრატიას, თუნდაც მეორე ინტერნაციონალის „სოციალისტების“ სახით.

ჩვენი პარტიის ლენინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ უზრუნველჰყო ამიერ-კავკასიის ფედერაციის წარმოშობა და მისი პოლიტიკურ - სამეურნეო განმტკიცება.

ფედერაციამ გადასჭრა ის რთული, აწეწილ-დაწეწილი, სისხლში გასვრილი ეროვნული ურთიერთობის ყველა საკითხები, რომელიც ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ ბურჟუაზიულ ნაციონალისტური პარტიების—მენშევიკების, დაშნაკების, მუსავატელების დამხობილ რეჟიმისაგან.

ჩვენი პარტიის პოლიტიკამ შექმნა მტკიცე პირობები ამიერ-კავკასიის ხალხთა პოლიტიკური მთლიანობისათვის, მათი სამეურნეო განვითარებისა და კულტურული აყვავებისათვის ამიერ-კავკასიის ფედერაციის საშუალებით, ფედერაციის, რომელმაც სავსებით გაამართლა თავისი არსებობა არა მარტო როგორც ეროვნული მშვიდობიანობის იარაღმა, არამედ აგრეთვე როგორც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ორგანომ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ აზერბეიჯანში, შემდეგ სომხეთში, ხოლო უფრო გვიან საქართვე-

*) ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენებიდან—საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმზე 1932 წ. 22 თებერვალს.



აფხაზეთი. ესკადრონის რედკოლეგია—ამზადებს წითელ არმიელების კედლის გაზეთს

...ოში ბოლო მოუღო გესლიანი მოღვაწეობის ასპარეზს და სისხლისმღვრელ ნაციონალურ ომებს. მაგრამ ეს ისას არ ნიშნავდა, რომ პროლეტარულ დიქტატურას შეეძლო, აქ განმტკიცდეს და შეასრულოს თავისი ისტორიული დანიშნულება — გადაიქცეს სოციალისტური მშენებლობის იარაღად, თუ ჩვენ დღის წესრიგში არ დავსვამდით საკითხს მტკიცე კავშირის საბჭოური ფორმის შესახებ, ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმური დაახლოების და მათი ძალღონის გაერთიანების შესახებ მძიმე ჭრილობების მოშუშებისათვის, სახალხო მეურნეობის აღორძინებისა და განვითარებისათვის, იმ სახალხო მეურნეობის, რომელიც სრულ განადგურებამდე მიიყვანა მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების რეჟიმმა.

საბჭოთა ამიერ-კავკასიის ხალხთა მთლიანობა წარმოადგენდა იმ ძალას, რომლის საფუძველზე უნდა მომხდარიყო მათი აყვავება ლენინური რესპუბლიკის დახმარებით, საჭირო იყო აღდგენა წარსული მთლიანობის, რომელიც მოსპო კონტრ-რევოლუციამ, საჭირო იყო მთლიანობა უკვე საბჭოთა ფედერალიზმის საფუძველზე და მედგარი ბრძოლა შუღლის, მტრობის, ომის. მოითხოვდენ ამიერ-კავკასიის ხალხთა ინტერესებიც გარეშე ქვეყნებთან ურთიერთობის დროს. მოვიგონოთ თუნდაც ყარსის კონფერენცია, სადაც ჩვენ უნდა **გამოვსულიყავით** როგორც საბჭოთა ამიერ-კავკასიის მთლიანი პოლიტიკური ოჯახი და არა როგორც დაქსაქსული, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკები. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენი მთლიანობა წარმოადგენდა რეალურ ზღუდეს ევროპის იმპერიალისტების გეგმის წინააღმდეგ.

ამგვარად, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნა ნაკარნახევი იყო, როგორც ამიერ-კავკასიის მშრომელთა ისტორიული მთლიანობით, ისე, უმთავრესად ჩვენი საშინაო მდგომარეობით და მდგომარეობით მსოფლიო ბურჟუაზიის მიმართ.

ნაციონალ-უკლონიზმის სახით ჩვენს წინაშე იდგა საბჭოთა ფრონტის შესუსტების საფრთხე, ბურჟუაზიული წყობილების რესტავრაციის გაადვილების საფრთხე, ინტერვენციის გაადვილების საფრთხე. ტყუილად კი არ გამოხმაურებია თანაგრძნობით ემიგრანტ-მენშევიკების ორგანო „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ"-ი ნაციონალ-უკლონიზმის გამოსვლებს და მის „საგმირო საქმეებს". ამის შესახებ ამხ. სტალინმა მეტად მოხდენილად სთქვა იმავე ყრილობაზე რომ „მეთევზე მეთევზეს შორიდან ხედავს", ტყუილად კი არ გამოუშვიათ მაშინ თბილისში მენშევიკებს პროკლამაცია, რომელშიდაც ეარშიყებოდენ ნაციონალუკლონისტებს და სთავაზობდენ მათ ერთგვარ ბლოკს იმ კომუნისტების წინააღმდეგ, რომლებმაც „გაყიდეს სამშობლო". ტყუილად კი არ ცდილობდა საზღვარგარეთელი მენშევიკების ემისარი ნოე ხომერიკი, რომელიც გამოგზავნილი იყო საქართველოში აჯანყების მოსაწყობად, როგორც ეს გამომჟღავნდა დაპატიმრების დროს მისთვის ჩამორთმეულ წერილობით საბუთებში [illegible] ქართველ საზოგადო მოღვაწეების მეშვეობით, დაემყარებინა კონტაქტი ქართველ უკლონისტებთან.

ა. კ. პარტიულმა ორგანიზაციამ ამხ. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ამ [illegible] ბოლშევიკურ ორგანიზაციაში. ა-კ. პარტიული ორგანიზაციები არ ასუსტებდენ ყურადღებას ბრძოლას დიდმპყრობელური შოვინიზმისაკენ გადახრის წინააღმდეგ და ამავე დროს თავიანთ მოვალეობად სთვლიდენ განადგურებიათ საკუთარ რიგებში გადახრა ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ, ნაციონალ-უკლონიზმი. ამ ბრძოლის შედეგად, რომელიც ძლევამოსილად ჩატარდა ამიერ კავკასიის მთელ ორგანიზაციაში, ჩვენ უზრუნველვყავით ა-კ ფედერაციის შემდგომი განვითარება და 1922 წლის დამლევს გადავდგით შესაფერი ნაბიჯი ა-კ სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის შესაქმნელად.

ეს არის ბოლშევიზმის მონაპოვარი ჩვენს რესპუბლიკაში. ეს არის ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება, ეს არის მებრძოლი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის განმტკიცება ა-კ რესპუბლიკებში.

ა.-კ. ფედერაცია გადაიქცა ა-კ ხალხთა ნაციონალური მშვიდობიანობის, მათი ძმური დაახლოების მთელი ძალღონის — პოლიტიკური, სამხედრო და სამეურნეო ძალღონის გაერთიანების მძლავრ იარაღად ყველა სიძნელეების დაძლევისა და მეურნეობის აღორძინების და მისი განვითარებისათვის სოციალიზმის გზით.

სოციალისტური მეურნეობის გაშლის ფონზე ვითარდება ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურული რევოლუცია. კულტურა მძლავრი ნაკადით იჭრება იმ ხალხებსა და ტომებში, რომელთაც საბჭოთა რევოლუციამდე არ ჰქონიათ თავიანთი დამწერლობა, თავიანთი ანბანი. ისპობა წერა-კითხვის უცოდინარობა. საყოველთაო სწავლება მალე სავსებით განხორციელდება. ვითარდება პროლეტარული ლიტერატურა, რომელიც იბრძვის ჰეგემონიისათვის და გამარჯვებას უახლოვდება. უმაგალითოდ იზრდება პროლეტარიატი, იზრდებიან სოციალისტური მშენებლობის კადრები, მუშათა კლასის და კოლმეურნე გლეხობის წრიდან.

სამხედრო პოლიტიკური მხრით განმტკიცდენ ჩვენი საერთო წითელი არმიის ნაციონალური ნაწილები, რომლებიც ღირსეულად ეჯიბრებიან და „ექიშპებიან" ნომერიან დივიზიებს. განმტკიცდა და მძლავრ 400 ათას კაცისაგან შემდგარ ძალად გაიზარდა ჩვენი კომკავშირი, პარტიის ერთგული თანაშემწე, ინტერნაციონალიზმის მედროშე. მას მიყვებიან პიონერთა მოხმაურე კოლონები, რომლებიც „ყოველთვის მზად არიან" ყელში ეცენ საბჭოთა ხელისუ-



**წითელი არმიელები ოქტომბრელებთან**

ფლების მტერს, ინტერვენტს, შოვინისტს, და, რომელიც ეძახდებიან ჩადგენ სოციალიზმის მშენებელთა არმიის რიგებში.

ჩვენი ძლიერების, ჩვენი განვითარების წყაროს წარმოადგენს ჩვენი პარტია. მან შექმნა და გაამტკიცა ამიერ-კავკასიის ფედერაცია, მაგრამ თვითონ იგი არის მთლიანი, ცენტრალიზებული, რომელიც მუშაობს, აშენებს, იბრძვის და თავის ნაწილებს ხელმძღვანელობს დემოკრატიული ცენტრალიზმის საფუძველზე, თავის რიგების მონოლიტობის საფუძველზე. ამ მონოლიტობამ, ნებისყოფის ერთიანობა ყველა დაბრკოლებათა გადალახვაში ბოლშევიკური პარტიულობის სრული კონსოლიდაციის გზაზე, განსაკუთრებით მკაფიოთ იჩინა თავი ჩვენს უკანასკნელ კონფერენციებსა და ყრილობებზე, სადაც ჩვენ ჩავატარეთ მუშაობა ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებში გამოაშკარავებულ ჯგუფობრიობის და ატამანობის ელემენტების საბოლოო მხილებისა და ლიკვიდაციისათვის. ეს მთლიანობა, ეს კონსოლიდაცია, ბოლშევიკური პარტიულობის საფუძველზე, პარტიის გენერალური ხაზის გატარების საფუძველზე, ჩვენ უნდა დავიცვათ ყოველგვარი, როგორიც არ უნდა იყოს, ჯგუფობრივობის წარმოამდგენლების თავდასხმისაგან, ერთად-ერთ სწორ ლენინურ ხაზიდან გადამხრელთა წინააღმდეგ, მემარჯვეხეთა, და „მემარცხენეთა" წინააღმდეგ შემარიგებლობის, კონდრაბანდისტების წინააღმდეგ, ისე როგორც ძმპალ ლიბერალიზმის წინააღმდეგ.

მემარჯვენეებთან ბრძოლით, „მემარცხენეებთან ბრძოლით, ორ ფრონტზე ბრძოლით დიდმპყრობელური შოვინიზმის და ადგილობრივ ნაციონალიზმისაკენ, გადახრის წინააღმდეგ ბრძოლით, ამ გადახრებთან შემარიგებლთა წინააღმდეგ შემდეგშიც უნდა განვამტკიცოთ ჩვენი რიგების მთლიანობა ლენინური დისციპლინის მკვიდრ ბაზაზე.

დღეს, ამ ფედერაციის პირველი ათი წლის თავზე, სრული სიამაყით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩვენ შეურიგებელი ბოლშევიზმის, შეურიგებელი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა არ დაგვიხრია იმ სიძნელეების წინაშე, რომლებიც წამოიჭრა ჩვენს წინ ამ ფედერაციის მოპოებისათვის ბრძოლაში. ჩვენ ვამაყობთ იმ შეგნებით, რომ ამ ფედერაციის პოლიტიკური ავტორები იყვნენ ამხ. ლენინი, ამხ. სტალინი, ლენინური პოლიტბიურო, რომელიც არა ერთხელ დაბრუნებია ამიერ-კავკასიის ფედერაციის საკითხებს, და გვაძლევდა ყველა დარგში ბოლშევიკურ რჩევას და დირექტივებს, რაც გვიადვილებდა სწორ მუშაობას. ჩვენ ამჟამად ვიგონებთ იმ ამხანაგბოლშევიკს, რომელიც იყო აქ ბოლშევიკური ცენტრალური კომიტეტის ნამდვილ წარმომადგენლად, რომელიც აწარმოებდა აქ განსაკუთრებით პრინციპიალურ ბრძოლას ბოლშევიზმის პოზიციებისათვის ინტერნაციონალური ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციის, პირველ რიგში ბაქოს და ტფილისის ორგანიზაციის მეთაურობით. ეს ამხანაგია ს. ორჯონიკიძე.



ს. ტაბახმელის კოლმეურნეები ემზადებიან გაზაფხულის თესვისთვის არჩევენ ხორბალს ტრიერით

ამხ. ორჯონიკიძის სახელთან არის დაკავშირებული როგორც ბრძოლის დაწყება ამიერ-კავკასიის ფედერაციისათვის, ისე ამ ფედერაციის შემდგომი განმტკიცება. მან მოგვცა იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა ვიბრძოლოთ შემდეგში ინტერნაციონალიზმისათვის ამიერ-კავკასიაში, ლენინური ხაზის სიწმინდისათვის, უშიშარი მუშაობისათვის სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელად აქ, ჩვენი საბჭოთა კავშირის უმნიშვნელოვანეს განაპირა ქვეყანაში.

ამხ. ორჯონიკიძემ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა აქ ლენინიზმის საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის ნამდვილ ბოლშევიკურ გატარებას. ჩვენს მოვალეობას შეადგენს ერთგულად გავატაროთ, ერთგულად დავიცვათ ეს ტრადიცია ამიერ-კავკასიის ფედერაციის მეორე ათწლეულშიაც, განვაგრძოთ ბოლშევიკური შეუპოვრობით მუშაობა ხალხთა სოციალისტური მთლიანობის და ძმობის განმტკიცებისათვის, სოციალიზმის მშენებლობისა და აშენებისათვის და მით გავამართლოთ ის ნდობა, რომელიც გამოიჩინა ჩვენ მიმართ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობამ პოლიტბიუროს სახით ამხ. სტალინის—ლენინის შემდეგ საუკეთესო ხელმძღვანელის და ლენინის საუკეთესო მოწაფის მეთაურობით.

**მამია ორახელაშვილი.**

## მეტი ყურადღება პიონერორგანიზაციებს

### ამხანაგო პიონერებო! მოისმინეთ პიონერთა წერილები ამხ. პოსტიშევისადმი

წერილი პირველი

**ამხ. პოსტიშევ!**

მე, ოქტომბრის რაიონის მე-8 რაზმის მე-30 ბაზის პიონერმა გოგონამ წავიკითხე კრასნოპრესნის პარტკონფერენციაზე თქვენ მიერ წარმოთქმული სიტყვა და მთელი ჩემი ყურადღება მივაქციე თქვენს სწორ შენიშვნას იმის შესახებ, რომ ჩვენ პიონერებს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მოგვაქციონ როგორც პარტიულმა, ისე კომკავშირის ორგანიზაციებმა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ახალი დებულება არ არის, მინდა გაცნობოთ იმ უყურადღებო დამოკიდებულების შესახებ, რომელსაც იჩენს სტამბა „კრესტიანსკაია გაზეტა"-სთან არსებული კომკავშირის უჯრედი ჩვენი ბაზისადმი. რომელიც 300 პიონერისაგან შესდგება.

ჩვენ არა ერთხელ ვთხოვეთ ჩვენი ბაზის შეფს—სტამბა „კრესტიანსკაია გაზეტა"-ს კომკავშირის უჯრედს ჩვენთვის ბინის გამონახვა, მაგრამ ჩვენი თხოვნა არ დააკმაყოფილეს, დავრჩით უბინაოთ და გ.-წ. სექტემბრის აქეთ, ე.ი. ბანაკიდან დაბრუნების დღიდან, არავითარ მუშაობას არ ვაწარმოებთ, ჩვენს მოთხოვნილებებს

მხოლოდ და მხოლოდ დაპირებებით აკმაყოფილებენ.

ამხ. პოსტიშევ! მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ამ ფაქტს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევთ, ჩაერევით ამ საქმეში და დაეხმარებით ჩვენს ბაზას იმაში, რომ მან დაგვანახოს თავისი ნამდვილი პიონერული სახე.

**პიონერული სალამით:**

**ირინა ცეიტლინი.**

ამის შესახებ ამხ. პოსტიშევმა შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა სტამბა „კრესტიანსკაია გაზეტა"-ს კომკავშირის ბიურო-კოლექტივს, კომუჯრედის და კომკავშირის მოსკოვის კომიტეტის მდივანს — ამხ. **ლუკიანოვს.**

მე საჩივრით მომმართა პიონერმა გოგონამ, რომლის რაზმის შეფს წარმოადგენს სტამბა „კრესტიანსკაია გაზეტა"-ს კომკავშირის უჯრედი; ის ჩივის, რომ კომკავშირის უჯრედი ცუდათ ეხმარება პიონერებს მუშაობაში, განსაკუთრებით კი ჩივის იმაზე, რომ პიონერ-ბაზას დღემდე ბინას არ აძლევენ, რომლის უქონლობის გამო ისინი, არავითარ მუშაობას არ აწარმოებენ, ბაზაში კი 300 პიონერია.

ამიტომ აუცილებელია პიონერ-ბაზას რაც შეიძლება დაჩქარებით დავეხმაროთ ბინის მონახვის საქმეში. მე ვფიქრობ, რომ პირველ რიგში ეს პარტუჯრედმა უნდა გააკეთოს.

ძალიან ცუდია, რომ პიონერ-მუშაობას ყურადღებას არ ვაქცევთ; საჭიროა თქვენ, როგორც პარტიულებმა, ისე კომკავშირელებმა, მეტი ყურადღება მიაქციოთ პიონერებს; თქვენ ისე უნდა მოაწყოთ ბავშვთა შორის მუშაობა, რომ ეს იყოს თქვენი პირველი ბოლშევიკური სიამაყე, რომ ბავშვები მათთან, მუშაობის გაძლიერებით, გაფასებდენ და არ ჩიოდენ თქვენზე.

აქ საქმე ეხება არა თქვენს დახმარებას, არამედ თქვენს პირდაპირ ვალდებულებას და მოვალეობას.

ვუცდი თქვენს საქმიან პასუხს.

**სალამით პოსტიშევი.**

**გაზ. „კრესტიანსკაია გაზეტა"-ს პარტბიუროს და კომკავშირის უჯრედის მდივნებმა შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნეს ამხ. პოსტიშევს**

**ამხ. პოსტიშევ!**

თქვენს წერილში თქვენ სრულიად სამართლიანად აღნიშნეთ ის დაუშვებელი მდგომარეობა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენი წარმოების პიონერ-ბაზის მუშაობასთან. უეჭველია, პირველ რიგში დამნაშავე კარია ჩვენი, პარტორგანიზაცია.

რა გავაკეთეთ ჩვენ თქვენი შეთითების შემდეგ?

პარტბიუროს დავალებით, რომელმაც განიხილა თქვენი წერილი, გწერთ ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ.

1. დაკვრითი წესით მოინახება პიონერთათვის ბინა, ყოფ. ეკლესიაში, 26 იანვრიდან, სასკოლო არდადეგების შემდეგ, რაზმი ამ შენობაში შეუდგა მუშაობას.

2. საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის ჩასატარებლად ჩვენ გვჭირდება 30 ათასი მანეთი; აქედან ათი ათასი მანეთი გამოიყოფა მშობლებისაგან, 20 ათასი მანეთი კი გამომცემლობისა და სტამბის თანხებიდან; ამ თანხიდან 8 ათასი მანეთი ქარხკომის თანხიდან (ხუთი ათასი მანეთი უკვე გამოყოფილია), დანარჩენი 12 ათასი მანეთი გამოყოფილი იქნება სამეურნეო თანხებიდან.

3. პარტხელმძღვანელობის განმტკიცებისათვის პარტბიუროს დადგენილებით ბაზის თვითეული რაზმის მუშაობის პასუხისმგებლობას ვაკისრებთ საამქროს პარტუჯრედს, რითაც აღმოიფხვრება გაუპიროვნება ხელმძღვანელობაში და გაძლიერდება პასუხისმგებლობა პიონერმუშაობაზე.

4. ზოგიერთი ღონისძიება მიღებულია აგრეთვე კომკავშირის ბიუროს მიერაც (წინამძღოლთა გამოყოფა რაზმებისათვის, თავისუფალი მომუშავის გამოყოფა და სხვა.).

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. თქვენი წერილი ორ საამქროში დამუშავდა. გადაწყვეტილი გვაქვს დავამუშაოთ ეს წერილი ყველა საამქროს პარტიულ კრებებზე და კომბინატის კომკავშირის საერთო კრებაზე, რადგან ყველაზე უწინ საჭიროა შეიქმნას საზოგადოებრივი აზრი პიონერ-მუშაობის განმტკიცების უდიდესი მნიშვნელობის გარშემო.

ჩვენ ვიღებთ ვალდებულებად — უახლოეს ხანში გამოვიმუშაოთ კიდევ ახალი ღონისძიებანი პიონერ-მუშაობის განსამტკიცებლად და მივაღწიოთ იმ მდგომარეობას, რომ ეს მუშაობა, როგორც თქვენ სწერთ, ნამდვილად გახდეს ჩვენი პირველი ბოლშევიკური სიამაყე და ბავშვები მათთან მუშაობის სათანადო ნიადაგზე დაყენებით, გვაფასებდენ და არ ჩიოდენ ჩვენზე.

**კომუნისტური სალამით კომბინატ „კრესტიანსკაია გაზეტა"-ს პარტბიუროს მდივანი ბ. ლაკლერი.**

**კომკავშირის უჯრედის მდივანი ლუტინი.**

**დამკვრელის სიმღერა**

აბა, აბა,
დაჰკარ, დაჰკარ,
გახურებულ
გრდემლზე უროს,
რომ ცეცხლის და
კვამლის ტალღამ
გაგკრას, დაგვკრას,
გაგახუროს.
ნუ გაშინებს
შენ ეგ სიცხე,
დამკვრელ ტემპმა
ასე იცის,
ტემპში ტემპად
უნდა იქცე.
თორემ
ვნახავთ, ძმაო,
სირცხვილს!
დაჰკარ ჩქარა,
ნუ გვიანობ,
დაჰკარ ჩქარა,
დაჰკარ სწრაფად,
რომ აობექდოს
შენი გვარი
დამკვრელთ შორის
წითელ დაფამ.
დაჰკარ ჩქარა,
ენერგია
გადაეცი
ბორბლებს,
ჩარხებს,
და სიმღერაც
დამკვრელური
შენებურად
შემოსძახე!

**ნოე დაფნარელი**



**საქართველოს ცენტრ. სათესლო საკონტროლო სადგურის თანამშრომელი ქალი სათესლე ხორბალს ახარისხებს**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაზაფხული



სასოფლო საბჭოს ეზოში თავი მოეყარათ გლეხებს, მათ შეერთებოდენ სოფლის ქალები, ბავშვები, პიონერები და კომკავშირელები. ყველას სიხარულით უძგერდა გული არაჩვეულებრივი სტუმრების მოლოდინში. უკვე ერთი საათია ელოდებიან, მაგრამ ჯერ არა ჩანან.

გამოჩნდა საბჭოს თავმჯდომარე, ახალგაზრდა ვაჟი საშუალო ტანისა და ცოტა გამხდარი. ეზოში შეკრებილ ხალხს თვალი მიმოავლო და მდივანს რაღაც წასჩურჩულა.

— არ მოდიან, კულა?

— კულა, ხომ არ გვატყუებ?

კულამ, ნიშნად ხალხის გაჩუმებისა, მკლავი მაღლა ასწია. ყველა გაჩუმდა და სმენად გადაიქცა.

— ამხანაგებო, მისატყუარი არაფერი მაქვს, ეხლა ელსმენით დამირეკეს; ქალაქიდან გამოსულები არიან და ნახევარ საათში აქ იქნებიან.

გამოცხადების შემდეგ კულაც ეზოში ჩავიდა და კოლმეურნეებთან ლაპარაკი დაიწყო.

— კულა, — მიჰმართა ერთმა კოლმეურნემ, — გუშინ გამოგიცხადებიათ სტუმრები უნდა მოვიდენო, ვინ იქნებიან?

— კრებაზე დასწრება რომ გიყვარს, ეს იმის ბრალია.

— ცოტა საქმე მქონდა ტყეში, როცა მოვისაქმე, კრება უკვე გათავებულიყო.

— სტუმრები დამკვრელი ბრიგადები არიან.

— ჰო, ჩვემა პეტრიელამაც ასე მითხრა, — გააწყვეტინა სიტყვა კოლმეურნემ, — მაგრამ რის დამკვრელები, ეს კი ვერ გავიგეო..

— არა, ივანე, ეგენი სულ სხვა დამკვრელები არიან, ვიდრე შენ გესმის — და ივანეს თვალწინ გადაუშალა დამკვრელი ბრიგადების მიზნები, მათი მნიშვნელობა და ბოლოს დაასკვნა:

— დღეს სტუმრები რომ მოვლენ, მიზნად ისახავენ შეაკეთონ ჩვენი სამუშაო იარაღები, რომ შესაძლებლობა მოგვეცეს მოვხნათ, დავთესოთ, გავლეწოთ და შემდეგ კი დამზადებული საკვები ქალაქს მივაწოდოთ. მიხვდი ეხლა ვინ არიან დამკვრელი ბრიგადელები?

— მივხვდი... მივხვდი...

— მოდიან!!!!

— ბრიგადელები მოდიან!!!

კოლმეურნეებმა ერთმანეთში ხშირი ლაპარაკი დაიწყეს. ღობის იქით მდგარი კულაკები ირონიით იცინოდენ.

— ვაშა, ვაშა! ყვიროდენ კომკავშირელები და მირბოდენ ძვირფასი სტუმრების შესახვედრად.

ორღობეში ავტომობილი გრიალით მირბოდა. ზედ მსხდარი ბრიგადელები სიხარულით იცინოდენ, შემკეთებელი იარაღები ერთმანეთს ხვდებოდენ და ხმაურობდენ, წითელი დროშა ფოთოლივით ირხეოდა.

## II.

— საქმე როგორ არის გიგო? ჩურჩულით შეეკითხა, ბნელ კუთხეში მდგარი კულაკი თავის ამხანაგს.

— ძალიან ცუდათ, ძალიან. მგონი აღარ ხუმრობენ. დღეს უკვე ტრაქტორი, გუთანი და სალეწი მანქანა შეაკეთეს.

— ჰე... ჰე... რა ხალხია, კაცო! ამდენი საქმის გრომებათ გაკეთება გაგიგონია?

— ს...ს... ყური დაუგდე, ვინ მღერიან, — გააწყვეტინა გიგომ და სმენად გადაიქცა. — დამკვრელები იქნებიან ჰაი დედასა, ვინ უნდა მღეროდეს და ვინ მღერის! ახლა შევლენ, ერთ-ორსაც გადაჰკრავენ და გამოვლენ გადამკვრელებიც. გახსოვს წინაადელი დრო, გლეხი შენს ხელთ იყო. მისი ბედი შენზე იყო დამოკიდებული, გაუჭირდებოდა და მოვიდოდა სასესხებლად.

— რა დროს მაგისი ლაპარაკია, ვერა ხედავ, მიწასთან გვასწორებენ, — შენიშნა მეორემ.

ორივენი დადუმდენ. სოფელი უკვე მიიყნარდა. კულაკები ჩამოსხდენ კუნძზე და ერთი-მეორეს უსიტყვოთ შეჰყურებდენ. ღამე იყო ბნელი და ცივი. ყველაფერი სდუმდა, მხოლოდ სასოფლო-საბჭოს შენობიდან ტალღებად მოფრინავდენ ბრიგადელების აღფრთოვანებული სიტყვები და სიტყვების შემდეგ მქუხარე ტაშის ხმა.

მოახლოვდა მოხვნის დრო. თესვის კამპანია უკვე ჩატარდა სათანადო ორგანოების ხელმძღვანელობით. არტელებმა ადრიანად დაიწყეს მზადება, და აი გამოიტანა პირველი ტრაქტორი ჩვენმა სოფლის არტელმა ბრიგადელების შეკეთებული ტრაქტორი რკინის დევივით მიმოდიოდა ნახნავის ნაპირზე და დიდდებოდა მოხნული ადგილის ფართობი.









— მაგათ შეკეთებულ ტრაქტორსაც ვნახავთ, — წარმოსთქვა გიგომ, — ახოში რომ გაიჩხირება, ვერც აქეთ წავა და...

— ვერც იქით, — დაასრულა მეორემ და ნაძალადევად გადაიხარხარა.

— ვნახავთ, მაგასაც ვნახავთ.

— გახსოვს, პირველად რომ მოიტანეს ტრაქტორი?

— როგორ არა. ისიც მახსოვს, მესამე დღეს გაქირი რომ გასწია აბრამა ურიას ვირივით, მერე რა ამბით მოიტანეს, რა ამბით გაავლეს პირველი კვალი! „ჩვენ შევცვლით გუთანს ტრაქტორით, ჩვენ შევცვლით უკულტურობას კულტურით, ჩვენ ავაშენებთ სოციალიზმს“! — ყვიროდენ კომსომოლები, ის კი არ. იციან მამა-პაპური კავისა და ზნე ჩვეულების შეცვლა რომ არც ისე ადვილია. გასულ წელს ოთხჯერ შეაკეთეს ტრაქტორი, მაგრამ ბოლოს გუთანი მოიშველეს.

— რომ არ გაჩერდეს და ჩვენს გუთანს მეტოქეობა გაუწიოს?

— ჩვენი ალსასრულიც მოახლოვდება.

— ნუ დავილუპებით, ლამე ისევ მივშალ-მოვშალოთ.

— შეუძლებელია. ადამიანი ყოველთვის ვერ გადარჩება. თუ გაგვიგეს, საჯაროდ ჩამოგვახრჩობენ.

— ხომ ხედავ, ყოველდღე მატულობს კოლექტივის წევრთა რიცხვი. რით უნდა შეაჩერო ეს ზრდა? ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით, დღეს მთელი სოფელი არტელში იქნებოდა გაერთიანებული. ამიტომ უნდა გავაძლიეროთ პროპაგანდა, დავიწყოთ მავნებლობა, გასულ წელს ისაკომ ძნები დაწვა...

— იმიტომაც გააძევეს, — შეაწყვეტინა მეორემ, — შენც ხომ არ გინდა?

— გაიგეს და გააძევეს. ის უჭკუოთ მოიქცა. ჩვენ კი ჭკუა უნდა მოვიხმაროთ.

— აი თქვენი ტრაქტორიც! — წამოიძახეს, როცა დაინახეს დაძრული ტრაქტორი, გასწია თუ არა გაქირი, — და რამდენიმე ნაბიჯი გადადგეს, უნდა შეეტყობინებიათ თავიანთი მოძმეებისათვის, მაგრამ ტრაქტორმა ჩვეულებრივ დაიწყო მუშაობა და კვალი კვალს მიაყოლა.

გაზაფხულია. თვალ-უწვდენელ მინდვრებზე, გამოსულან არტელის წევრები და მუშაობენ. მუშაობენ ერთგულად და ერთსულოვნად, ამოსდგომიან ერთმანეთს მხარი-მხარს და მღერიან მხიარულად, ოხუნჯობენ განუსაზღვრელად და მათი მუშაობის ნაყოფსაც საზღვარი არა აქვს.

მხოლოდ მეორე მხარეს კი კულაკთა ბანაკს ჩამოუშვია ცხვირები და დასტირიან თავის თავს, დასტირიან წარსულს, კრულვით იხსენიებენ სოციალიზმის მამამთავრებს და ამით გულს იმშვიდებენ.

ისპობა გადაგვარების გზაზე დამდგარი მათი ჯიში და ამას თვითონაც გრძნობენ...

**ი. აბურაშვილი.**



## გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციის 10 წლის თავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლუტუნა და სტეფანე



(დასასრული *)

თავმჯდომარემ ხანჯალი გაიძრო, მოსჭრა გრძელი შზოლარი, გაროკა და თეთრი ცხვირსახოცი მიაბა წვეროში. სტეფანეს გაუკვირდა, ვერ გაიგო, რად სჭირდებოდა თავჯდომარეს ჯოხზე დამაგრებული ცხვირსახოცი.

თავმჯდომარეს გაეცინა. გაეხარდა, ალბათ, მანაც იცოდა ისეთი რამ, რაც სტუდენტს აზრადაც არ მოუვიდოდა. მაგრამ მაინც უპასუხა:

— თუმცა შენ არ ნეუბნები რათ გინდა გარეული ბურვაკები, მაგრამ სამაგიეროს არ გადაგიხდი, ცხვირსახოცით კარგად უნდა გავსინჯოთ ქარის მიმართულება და უნდა ჩავესაფროთ სწორედ ისე, რომ ადამიანის სუნი ქარმა ღორებისკენ არ წაიღოს, თორემ წყეულები არიან ღორები, გამოცდილი! უცებ იგრძნობენ და გადაიკარგებიან ულრანს ტყეში.

თითქმის ყველა მხრით გასინჯეს ქარის მიმართულება, და აღმოჩნდა, რომ ქარი ტყიდან უბერავდა. ღორები აუცილებლად მოვიდოდნენ, სიმინდის სუნით ისე იყო აბრუებული არემარე, რომ ადამიანიც კი ჰგრძნობდა მას.

დაღამდა, მთვარემ დაიგვიანა. მონადირეებმა ივახშმეს და თვალი მოატყუეს. გამოღვიძებისას ხომლი და სასწორი მაღლა წამოჭიმულიყვნენ და ღამურები ფრთების თქრიალით სერავდნენ ცას.

— აბა, წავიდეთ, ამხანაგო სტეფანე. გაუყევი ამ ბილიკს და დამპალ კუნძის ფულუროს ამოაფარე. თუ ღორები დაინახო უშიშრად ესროლე და მოჰკალი, თუ პირველი ვერ მოარტყა, მეორე დაახალე, წინაალმდეგ შემთხვევაში ტახი ცხელ დღეს დაგაყრის. მე კი აქეთ წავალ და წისქვილისაკენ ჩაუსაფრთები. იქ პატარა ფონია, თუ ღორები გოქებიანია, სწორედ იქ გამოვლენ. მე დავუხვდები და ვესვრი. თავნები თუ გამოვლენ, პატარები უცნობ ფონში ვერ შებედავენ და მარჯვედ ვინადიროთ.

სტეფანე გაჰყვა ბილიკს და დამპალ ფულუროსთან ჩასაფრდა.

*) იხ. ჟურ. პიონერი № 3.

ნახევარი საათიც არ გასულა, რომ მან რაღაც ხმაურობა გაიგონა. სული განაბა და მოესმა სიმინდების მტვრევა. ცოტა ხნის შემდეგ მძლავრი ქშიხვაც მოესმა. გავარდა თოფი.

ჯოგი დაფრთხა, და სტეფანეს ესმოდა, როგორ მორბოდნენ მისკენ, ღორები მოკლე გზით, ტყეში გასასწრებათ. სტეფანემ დაიხახა ვეებერთელა ტახი, და გულისძგერით ამოიღო ნიშანში, ესროლა.

ღორი გადმოხტა. მისმა ეშვებმა მონადირის თვალწინ გაიელვა, მაგრამ მეორე ტყვიამ ტახი მიწაზე დააგდო.

თავმჯდომარე რაღაცას ყვიროდა... სტეფანე გაექანა და ორივემ რის ვაი-ვაგლახით დაიჭირა ორი პატარა ვოჭი. ესენი იყვნენ ლუტუნა, და მისი და.

დილა რომ გათენდა, ცხენებზე გადაჰკიდეს ნანადირევი და სოფლისკენ წამოვიდნენ.

თავმჯდომარის ეზოში მთელი ორი დღე ურახუნებდა დურგალი, ხერხა, თალა, აშალაშინა, და ხშირ-ხშირად აჭედა ლურსმნები. ლუტუნა თავისი დით ბელელში იყო მოთავსებული. ეხლა გაახსენდა ლუტუნას, რა კარგი იყო თავისუფლება! მოენატრა კიდევაც თავისი აბეზარი მეზობლები — ბაყაყები და ჰაერში ქარისაგან ატაცებულ ფურცელივით მოფარფარე პეპლები. სასმელ-საჭმელი ბლომად მოჰქონდა სტეფანეს, სიმინდით, სტაფილოთი და საზამთროს თესლით ჯერ - ჯერობით ავსილი იყო იქაურობა. მაგრამ ლუტუნა ისე მოწყენილი იყო, რომ არაფერს არ ეკარებოდა. სტეფანე კი ბუზღუნებდა.

— ჰა, მეგობრებო, მოითმინეთ, გამხიარულდებით და შემეჩვევით კიდევაც. აბა ეხლა ეს ვემრიელი სტაფილო მიირთვით. და მოდიოდა კვლავ სტაფილო, მიწის ვაშლები, წაბლი, რკო და ათასი სამასპინძლო. თანაც სტეფანე უბის წიგნაკში იწერდა რაღაცებს. დაჭერის მესამე დღეს დურგალმა გალია მოიტანა. ჩასვა შიგ ლუტუნა, თავისი დით, მხოლოდ ისე, რომ ერთი-მეორეს შუა კედლიდან უყურებდნენ. დაუდვეს რაღაცაზე. მთელი დღე ატარეს და შემდეგ გადხიყვანეს რაღაც დიდ დახურულ ყუთში სტეფანე არ სცილდებოდა მათ, არ აკლებდა დაძმას სასმელ-საჭმელს. მეორე დღეს ჩამოიყვანეს სადღაც ლუტუნა, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ქვეყანაზე იმდენი მისი მტერი ერთად თავშეყრილი იქნებოდა და მას ხელად არ გადასანსლავდნენ. გალია დაუდვეს რაღაც ბღრიალაზე და ყოველ უფოთლო და უტოტო ხეზე ეკიდა პატარა მზეები. ბევრი ათვალიერა ლუტუნამ, მაგრამ იმ ხეებს არც კაკალი და არც თხილი არ ება, ება მარტო მზეები და ერთმანეთთან შეერთებული იყვნენ წვრილი, გრძელი და სწორი შავი ტოტებით.

ბღრიალა გაჩერდა, გალია გადმოიღეს და, როგორც იქნა, აღირსეს თავისუფლება. ლუტუნა თავისი დით გაუშვეს საცდელი სადგურის ბაღში.

— შორს წასვლა კი მაინც არ შეეძლო ლუტუნას. ეზო შემოფარგლული იყო ქვით, და თუმცა ლუტუნა ძირის გამოთხრასაც კი ეცადა, მაგრამ მაინც ვერაფერი დააკლო. მარტო სტეფანე ახარებდა ლუტუნას. და მოაცილეს, ხოლო მის მაგიერ ლუტუნასთან მოათავსეს ზამბასავით თეთრი გოჭი. ლუტუნას პირველად არ მოეწონა სტუმარი, მეტად უშნო ცხვირი ჰქონდა. დინგი სწორედ თვალებთან ეწყებოდა და, ყუოები ყელზე ჰქონდა გადმოფარებული. სტეფანესთან ერთად კი ხშირად მოდიოდა ვიღაც მაღალი, გათეთრებული, თვალებზე შუშაფარებული კაცი.

სტეფანეს იმ კაცის ისევე ეშინოდა, როგორც ლუტუნას თავიანთი ჯოგის ტახის. ვინ იცის, შეიძლება, ასეც არ იყო, მაგრამ ლუტუნა სხვაფერ ვერ იფიქრებდა, რადგანაც ის კაცი რომ მოვიდოდა და ლუტუნას თავისი ახალი მეგობრით დაათვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლიერებდა, სხვა კაცები უკან იდგენ და მას მისდევდენ ხოლმე.

ის კაცი იყო პროფესორი და სხვები კი მისი სტუდენტები, სტეფანეს ამხანაგები. რატომღაც ლუტუნას სახელი შეუცვალეს და „სტეფანე" უწოდეს. მის მეგობარს კი, ნეზვ შინაურ ლუტუნას „იორქშირკა"-ს ეძახდენ.

ძალიან გაუჭირდა ლუტუნას. ბევრი ავადმყოფობა და სნეულება გადაიტანა. ეხარბებოდა თავისი მეგობრის ჯანმთელობა ბოლოს კი გამოჯანსაღდა და ექიდავებოდა კიდევაც თავის მეგობარს. ვერც კი დათვალა ლუტუნამ,. რამდენი დღე, კვირა და თვე გავიდა, გაიზარდა დავაჟკაცდა, თითქმის იმოდენა შეიქმნა, თავისი ჯოგის ტახი რომ ახსოვდა. ეშვები ამოუვიდა და ამაყად დადიოდა ხოლმე, თავის მეგობრის მსგავს თეთრსა და გასუქებულ იორქშირე ბში

ისე შეეჩვია, რომ შამბებში, რომ წაეყვანათ და გაეშვათ, აღარც კი გაუხარდებოდა, ახლა მშვენიერი, დასუქებული და თეთრი იორქშირის ჯიშის ღორები ჰყავდა მეზობლად.

— აბა, მიჩვენე, თუ ძმა ხარ, სტეფანე, ის ლუტუნა რამდენი იჭყვილა, რამდენი იფართქალა, ჩემს დღეში არ დამავიწყდება,—ეუბნებოდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე სტეფანეს.

— აი მობრძანდით!

და სტეფანემ აჩვენა თავმჯდომარეს, სწორედ ახლა რომ ეცვა, იმ ჩოხით დაჭერილი ლუტუნა, უკვე სანაშენო ტახად გადაქცეული.

—მაშ, ეს არის? შესანიშნავი კერატი დამდგარა.

— ცოტას გიჟობს, მაგრამ, იცი, ათასი მანეთიც რომ მოგვცენ ოქროთი, ამ ტახს ხელსაც არვის მოვაკიდებინებთ. თვალია, თვალი ჩვენი სადგურის,—მიუგო სტეფანემ და გაუძღვა თავმჯდომარეს საბჭოსკენ.

— აბა, აქ მობრძანდით, ეს გოჭები ნახეთ!

სტეფანემ საგოჭეს კარები გააღო.

—აიხედავთ, — ამ რუხებს, ცისფერებს და ჭუვანა გოჭებს? ესენი ლუტუნას შვილები არიან იორქშირის ნეზვ ჯიშთან შეჯვარებული.

—ესენი კი,—სტეფანემ მეორე საგოჭეს კარები გააღო,—ლუტუნას დის შვილები არიან, ხორქშირის ტახებთან შეჯვარების შედეგი. გახსოვს, ამხანაგო, თავმჯდომარე, რამოდენიმე ხნის შემდეგ საიდუმლოების გამჟღავნებას შეგპირდით.

—დიახ— მიუგო თავმჯდომარემ.

აი საქმე რაშია: კახური გარეული ღორის ჯიშის შეჯვარებით იორქშირის ჯიშის ღორთან, ჩვენ მივიღეთ ახალი ღორის ჯიში, რომელიც შესანიშნავად იტანს ჩვენებურ უხეშ საკვებს და თანაც იორქშირის ჯიშის ღორივით ბევრ ხორცს იძლევა. ასეთი ჯიშის ღორი მისწრებაა ჩვენი კოლმეურნეობისათვის და დაწვრილებით კი ამ წიგნში სწერია ყველაფერი. სტეფანემ გაუწოდა თავმჯდომარეს თავისი ახალი ნაშრომი, ლამაზად გამოცემული წიგნი. წიგნში მოთხრობილი იყო ლუტუნაზე ნადირობა და ყველა ის ამბავი, რაც მათ გადახდათ ლუტუნას დაჭერის დროს. თავმჯდომარეც მოხსენებული იყო. ლუტუნას სახელად „სტეფანე" დაარქვეს, როდესაც თავმჯდომარე საცდელი სადგურის ალაყაფის კარებში გადიოდა, მას დაახვედრეს, სწორედ ის გალია, რომლითაც ლუტუნა და მისი და ტფილისში ჩამოიყვანეს. შიგ ჩამწყვდეული იყო ახალი ჯიშის გოჭები, „კახშირის" ჯიში, რაც ნიშნავდა: კახეთის გარეული და იოქშირის შინაური ღორების შეჯვარებისაგან მიღებული ახალი ჯიში" .

ეხლა კი მიხვდა თავმჯდომარე, რომ შეიძლებოდა გემრიელი და ნოყიერი **ღორის ხორცის** მართლაც უხვათ დამზადება. მან სტეფანეს დიდი მადლობა გადაუხადა, ხოლო გალია ავტოზე დადო და კახეთში წაიღო.

**გ. ჩხეიძე**



# გაღვიძებული დედამიწა



— ახლავე მოცოცდება.

— მე კი ვამბობ — არ მოცოცდება. რატომ უნდა მოცოცდეს?

— როცა მოცოცდება, მაშინ, დაინახავს რატომ.

— არ მოცოცდება.

— იცი, ვინ მოცოცავს?

— ვინ?

— სკეპტიკი.

შავთმიანმა შეკრეჭილმა გოგონამ. გაჯავრებით გაანქია თავი და საყვედურით შეხედა ქერა, პიროგვალ ბიჭს, რომელიც გულმოდგინედ ხაზავდა რაღაცას ფანქრით მაგიდაზე გაშლილ ქაღალდზე.

— სკეპტიკი! კარგი, სკეპტიკი ვიყო. ჩემი საქმე მე თვითონ ვიცი, დავხაზავ სხივების სვლას და სხვა თქვენ იცით.

ეს ლაპრაკი სკოლის ლაბორატორიაში ჰქონდათ, სადაც ბავშები ჯგუფ - ჯგუფად აწარმოებდენ საბუნებისმეტყველო პრაქტიკულ მუშაობას. ოთახში იდგა რამდენიმე კარადა, რომლებშიაც სხვადასხვა იარაღი ელაგა, სამუშაო მაგიდები, ტერარიუმი, აკვარიუმი, თარო ცნობარებით და კედელზე ეკიდა ნახატები. ეს იყო და ეს, ოთახში სხვა არაფერი იყო.

გაღებული დიდი ფანჯრიდან უხვად აშუქებდა გაზაფხულის დილის მხიარული მზე. ფანჯარაზე იდგა ბავშების მიერ. ქილებისა, მილებისა და პაწია ოწინარებისაგან გაკეთებული რაღაც ნაგებობა. გამხდარი ყმაწვილი სინო, ჯგუფის ხელმძღვანელი, დაკვირვებით ცდილობდა მიემაგრებია რეზინის წვრილი მილი ბალონზე. სამუშაოდან თავი არ აუღია ისე, მტკიცედ წარმოთქვა:

— ისევ დისკუსია დაიწყეთ? ინა, ნუ უშლი კირილეს ნახაზების კეთებას. კირილე, ნუ აჯავრებ ინას, კმარა.

— ამ წუთში გვეცემა აქეთ მზე, უნდა დავიჭიროთ, დრო არ უნდა დავკარგოთ. კირილე, შენ კაი ბიჭი ხარ, მაგრამ არ დაგავიწყდეს. ხომ იცი შენი მოვალეობა, გამოიტანე ჩვენი პაწიები.

— მუდამ მზად ვარ!

კირილე წამოიჭრა ადგილიდან, შევარდა მაგიდის ქვეშ და ქნეშით გამოძვრა.

— სად დავდგა?

— ერთი—ამ ყუთში, მეორეც აქ, ინამ, ტაში შემოკრა:

— ჩქარა, თორემ მზე მოვიდა.

— მემენტია.

სიმონმა ოწინარის ერთ ბოლოს აბრეშუმის წმინდა ძაფით შეუერთა მეორე ოწინარი... ოწინარზე გამაგრებული ორი პატარა სარკე სინათლისაკენ მიტრიალდა.

ყვითელი მრთოლვარე მზე მოგორავდა მეორე მხარეზე მდგომი ბევრ სართულიანი სახლის სახურავის იქედან. გადმოცურდა სახურავებზე და დაეცა სარკეებს მაშინვე ორი ნათელი „ბლიკი" ცხადად გადმოხტა თეთრად შელესილ კედელზე.

სიმონი დააშტერდა ბლიკებს და ხელი დააქნია:

— ინა, აირი.

— არის.

რეტორები აშიშინდა. სიმონმა სწრაფად გაიხედა საათისაკენ. სწორედ რვა საათი იყო. შემდეგ მიუბრუნდა კირილეს:

— ახლა, კირილე, ჩუ! აიღე დურბინდი, თორემ, სულერთია, ვერაფერს დაინახავ შენი ბეცი თვალებით. უყურე და ისწავლე.

კირილემ მიუშვირა დურბინდი სახლის კედელს და შეჰყვირა:

— ოჰო!... აი ეს მესმის!

უცებ რეტორტების იქიდან ნელი ხმით წარმოთქვა ინამ:

— შეიძლება მეც შევხედო სინო?

— არ შეიძლება საომარი, სადარაჯოს მიტოვება. უბრალო ცნობისმოყვარეობისათვის. აირთან ხარ? გვაძლიე. მოხსენებას „სკეპტიკი" გაგიკეთებს. აბა, რას ხედავ, კირილე, კარგო ბიჭიკო?

კირილემ დაუშვა დურბინდი და აღტაცებით, წამოიძახა გაოცებულმა::

— მიცოცავს!

ინამ თავი ველარ შეიკავა, მივარდა კირილეს, გამოსტაცა ხელიდან დურბინდი, ჩაიხედა შიგ, კინაღამ დაიყვირა, მაგრამ მაშინვე მიიფარა პირზე ხელი და დაბრუნდა რეტორტებთან.

სიმონმა მკაცრად შეხედა მას:

— სირცხვილი!

.იხარულისაგან ანთებული ინა დაიხარა და დაუწყო ცქერა რეტორტებს. რეტორტებიდან მილებით მიდიოდა ყუთში აირი. უხაროდა, რომ „სკეპტიკი" შერცხვა და სწორედ ისე გამოვიდა, როგორც თვითონ და სიმონი ფიქრობდენ: ერთი ბლიკი დარცხვენით იდგა მეხუთე სართულის სიმაღლეზე და მეორე კი, პირდაპირ ეტყობოდა, კედელზე ქვევით კენ მოცოცავდა.



**მარცხნით ის, ყვავილებია, რომელიც აირის გავლენით იზრდებოდა, მარჯვნით ისინი, რომელიც ყუთში იდგა ჩვეულებრივ ჰაერში**

სიმონი ინიშნავდა ქაღალდზე ბლიკის გავლის დროს. კირილემ ხელი მოჰკიდა სიმონს:

— შეხედე!

უცებ ბლიკი დაიკარგა, მესამე სართულის ღია ფანჯარაზე შეცოცდა, ფანჯარაში კი თავი გამოყო ახალგაზრდა კაცმა და დაიძახა:

ჰეი, თქვენ, ყმაწვილებო, რას ეშპაკობთ სარკეებით?

სიმონმა რუპორივით მიიდგა პირზე ხელები.

— ცდას ვაკეთებთ.

— რა ცდას?

კირილე ფეხის წვერებზე შედგა და სიმონის მხარებს ზემოთ გადასძახა:

— სტიმულირების ცდებს. გაგიგონია?

ახალგაზრდა კაცმა გაოცებით გაასავსავა ხელები. შემდეგ გამოერკვა, რაღაც დაუყვირა სიმონს და კირილეს ქუჩის იქითა მხრიდან და სადღაც გაიქცა.

ბლიკი საქმიანად გამოძვრა ფანჯრიდან, გადაცოცდა ფანჯრის თაროზე და გასწია ირიბი გზით მეორე სართულის აივნისაკენ, სადაც გაზაფ

ეროვნული ბიბლიოთეკა



**სახპოლიტსამმართველოს საბჭ. მეურნეობა სოციალისტურ მეფრინველეობისათვის**

ხულის ჰაერით სუნთქავდა გერანიუმის ორი ბუჩქი.

II.

ახალგაზრდამ დაუკაკუნებლად შემოირბინა ლაბორატორიაში.

— მე ბაშმეტოვი ვარ — თქვა მან.

რეტორტებს იქედან გამოიხედა ინას გამჭირვახმა თვალებმა.

— ძალიან სასიამოვნოა. ჩვენ ბოტანიკური ჯგუფი ვართ.

ბაშმეტოვი გადააჯდა ტაბურეტს, ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი, და დაისვენა.

— ფ—ფუ!.. ისე მოვრბოდი, რომ დავიღალე.... სასაცილოა, ასე ახლოს ვცხოვრობთ, პირდაპირ.. თქვენი ცდები...

მან შეხედა ჩუმად მდგომარე სიმონს და ჰკითხა:

— შვრიაა?

სიმონმა უპასუხა:

— მუხუდოა.

— ეტილენით?

— ნახშირბადით.

— სისწრაფე?

ნორმაზე თექვსმეტჯერ უფრო სწრაფად.

ბაშმეტოვი წამოხტა ტაბურეტკიდან.

— ჰუ! დანარჩენი გასაგებია. ჩემი ორმოცჯერ უფრო სწრაფია. აბა მაჩვენეთ თქვენი მოწყობილობა. კუსტარობას ეწევით?

სიმონს თვალები აენთო, როდესაც „ორმოცჯერ“ გაიგონა.

— ნახეთ, ამხნაგო. მე თქვენი გვარი ვიცი. ბოტანიკური აკადემიის ასისტენტი ხართ. თქვენთან ისე ძნელია მოსვლა. და აი შემთხვევა დაგვეხმარა. ბლიკი მოცოცდა, — უთხრა სიმონმა.

სიმონის სიტყვებზე კირილემ თვალები აახამხამა, შერცხვა თავისი სკეპტიციზმის, სიმონი კი განაგრძობდა:

— ჩვენ დიდი ხანია გვაინტერესებდა საკითხი, თუ როგორ გამოგვეწვია მცენარის უფრო სწრაფი ზრდა. სამეცნიერო ლიტერატურიდან გავიგეთ, რომ ბევრი საშუალებაა უკვე ცნობილი თესლის აჩქარებით ამოსვლისათვის, მოსავლის სტიმულირებისათვის, მაგრამ ეს ხომ თქვენც იცით ყველაფერი, ამხანაგო!

რეტორტებიდან ინა გამოვიდა.

— ამხანაგმა თუ იცის, იქნება გვიამბოს.

ბაშმეტოვმა გაიღიმა.

მოკლე ისტორიული მიმოხილვა? ინებეთ. როგორ დავაჩქაროთ თესლის ამოსვლა, დავაჩქაროთ მცენარის ზრდა? თუ ეს საკითხი გადაწყდა, მაშინ დიდ დროს მოვიგებთ. ჯერ კიდევ 200—300 წლის წინად ცდილობდენ ეხმარათ სხვადასხვა საშუალება, დათესვის წინ ალბობდენ თესლს მარილწყალში, გვარჯილაში, თიხანარევ და ნაკელ ნარევ წყალში. მაგრამ შედეგი გამოურკვეველი რჩებოდა. 1923 წელს ბულგარეთის მეცნიერმა პოპოვმა გამოაქვეყნა, რომ მან ისეთი წამალი გამოიგონა — „სტიმულოლი“, რომელიც თითქოს შვრიის მოსავალს ორჯერ ადიდებს. აღმოჩნდა, რომ ეს „სტიმულოლი“ შედგებოდა მანგანის, მაგნიუმის და კალიუმის მარილისაგან. ჩვენც ვსინჯეთ ეს პრეპარატი, ვალბობდით შვრიის თესლს, მაგრამ მოსავალი უარესი მოვიდა. უბრალო ჭის წყალში დამბალი თესლი უფრო მეტ მოსავალს იძლევა, ვიდრე პოპოვის პრეპარატში დამბალი.

— ჩანს, არაფერი გამოვიდა პოპოვის ჯამბაზობისაგან, — თქვა კირილემ.

— როგორც ხედავთ... საბჭოთა მეცნიერები და ამერიკელები ამჟამად სხვადასხვა ფიზიკური და ქიმიური აგენტების საშუალებით აწარმოებენ სიცივის, სითბოს, მშრალი ჰაერის, სინათლის, ელიქტროდენის, რენტგენის და რადიოს სხივების გავლენის ცდებს.

ყველა ეს გავლენა შესაფერ პირობეში შეიძლება სტიმულატორად გამოდგეს. ცდებისათვის ეთერი, ალკოჰოლი, ძმრის ალდეგიდი, ასე გასინჯეთ, ცხოველების ფარისებრი ჯირკვლების ნივთიერებით მოსხურებაც კი არის ნაცადი. მცენარეულობის ზრდის ასაჩქარებლად მებაღეები ხმარობენ თბილ აბაზანებს და სხვადასხვა ნივთიერების შეხრჩოლებას უმთავრესად სინილის მჟავათი.

სიმონმა დაუმატა:

ამის შესახებ მე ვიცი, კალიფორნიაში და ესპანიაში სინილის სიმჟავის შეხრჩოლებას დიდი ხანია აწარმოებდენ. ხმარობდნენ ფორთოხლის ბაღების მავნებლების წინააღმდეგ და დაინახეს, რომ შეხრჩოლების შემდეგ ხეების კოკრები უფრო მალე იშლებოდა.

— დიახ, დიახ...—შენიშნა ბაშმეტოვმა, — 1924 წელს იქ მოახდინეს ცდა—შეუხრჩოლეს სინილის მჟავა გაშლილ დიდგულას და ზამბახს, და ერთი სათის განმავლობაში გაიშალა ყვავილები. მეორე წელს ზამთარში ცდები გერმანიაში ბრაუნშვეიგის ბოტანიკურ ბაღში გაიმეორეს. იქ ისე სწრაფად, თითქოს ჯამბაზიაო, იშლებოდა შროშანა.

— აი ეს არ გამიგონია,—გააქნია თავი კირილემ.— ჩვენ კი სინილის აირით არ ვმუშაობთ.

— ფართო მასშტაბით მისი ხმარება სტიმულაციისთავის მაინც და მაინც სასარგებლო არ არის: ძალიან შხამიანია და რთული აპარატურაც ჭირდება, — თქვა სერიოზულად ბაშმეტოვმა,—თქვენ უფრო მარტივი საშუალება გიხმარიათ, ნახშირბადის სიმჟავე და ეტილენი ის უფრო სწორია.

**ბელიაევი.**

(დასასრული იქნება)



**პატარა ზერკეტებზე მიმაგრებული ორი პატარა ხარკე მიტრიალდა სინათლისაკენ**

# სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია

საკავშირო კომუნისტური პარტიის ცეკას დადგენილების საფუძველზე მიმდინარეობს სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია. ახლო მომავალში ხაშურიდან ზესტაფონამდე ამოძრავებს ელექტრო მატარებელი. უღელტეხილის ელექტროფიკაცია— ეს უდიდესი მიღწევაა ტრანსპორტის სოციალისტური რეკონსტრუქციის დარგში.

ორთქლმავალს 100 წელიწადზე მეტი ისტორია აქვს. როდესაც ჩვენ ამ ისტორიას გავეცნობით, ვნახავთ, თუ როგორი თანდანობითი სახე ცვლილება განიცადა ორთქლმავალმა. ჩვენ არ შევუდგებით ამ ისტორიის თხრობას—იგი ძალიან შორს წაგვიყვანდა, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ საორთქლმავლო მშენებლობის ტეხნიკამ უკანასკნელ ხანებში გამოუშვა ერთ-ერთი უმძლავრესი ორთქლმავალი, რომელსაც ეწოდება სერია „ე". სწორედ ეს ორთქლმავალი არის გამოყენებული საბჭოთა კავშირში და კერძოდ სურამის უღელტეხილზე ტვირთისა და სამგზავრო მატარებლების გადასაზიდავად.

და აი, მიუხედავად ამ ორთქლმავალის სიმძლავრისა, მარტო ერთი ორთქლმავალი საკმარისი არ არის იმისათვის, რომ უღელტეხილზე გადატანილ იქნას მატარებელი (ვაგონები). ვისაც სურამის უღელტეხილი გაუვლია, ის შენიშნავდა, რომ ორი ხოლო ზოგჯერ სამი ორთქლმავალია შემადგენლობაში ვაგონების გადასაზიდად საჭიროა, ორთქლმავალთა ეს რაოდენობაც საკმარისი არ არის შემადგენლობის ნორმალური სვლისათვის. სურამის უღელტეხილზე, დაწყებული ხარაგოულიდან გვირაბის ნახევრამდე, გველივით დაკლაკნილი გზაა. ეს კიდევ დიდი წინააღმდეგობა არ არის, მაგრამ ეს გზა თანდათან მაღლდება, მისი სიმაღლე ხარაგოულთან მოყოლებული თანდათან იზრდება და საბოლოოდ ვღებულობთ სურამის უღელტეხილის დაქანებას 29 ათასედებით.



სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის ხაზის გაყვანა

რას ნიშნავს დაქანება 29 ათასედით? უნდა ვიცოდეთ, რომ რკინიგზებზე დაქანებისა და აღმართის ზომად მიღებულია ათასედი. 29 ათასედი იმას ნიშნავს, რომ რკინის გზის 1000 მეტრის მანძილზე ხაზი 29 მეტრის სიმაღლეზე ადის.

აბა დაუკვირდით ამ რიცხვს, 29 მეტრის სიმაღლეზე როგორც მართლადაც ვხედავთ საკმაოდ ძნელი იქნება, თუგინდ 4 ორთქლმავალისათვის, ამ სიმაღლეზე გადაზიდ-გადმოზიდოს დიდი სიმძიმის მქონე ტვირთი: ხალხი, მაზუთი, ნავთი, ზეთი, ბენზინი.

საჭიროა აღინიშნოს, ერთი მეტად საინტერესო საკითხი: უღელტეხილზე ცარიელი ვაგონების გადმოტანა არც თუ ისე ძნელია, მაგრამ სიძნელეს წარმოადგენს ამ თავდაღმართზე მაზუთით, ბენზინით, ნავთით სავსე 35—40 ვაგ. ჩატანა. აქ საჭიროა უაღრესათ დიდი სიფრთხილე. სათანადო სისწრაფის განვითარება, მუხრუჭების საიმედო მდგომარეობაში ყოფნა. ცისახვევებში სისწრაფის შეცვლა, ხოლო საჭირო მომენტში (მაგ. დაკეტილი ნიშანსვეტის წინ, სადგურზე) მთელი შემადგენლობის გაჩერება. თუ ეს პირობები დაირღვევა, აუცილებელია კატასტროფა, მთელი შემადგენლობის ხევში გადავარდნა. აქედან — ზარალი მილიონი მანეთებით: ორთქლმავლების სამუდამოთ წახდენა, ასევე ვაგონების; ადამიანთა მსხვერპლი სახალხო ქონების დაკარგვა, ლიანდაგის დაზიანება და რამოდენიმე დღით მოძრაობის შეჩერება.



სურამის "უღელტეხილის" ელექტროფიკაციის ხაზის გაყვანა

ასეთი შემთხვევები სურამი სუღელტეხილზე ჩვენ უკვე გვქონდა (წიფისა და მოლითის კატასტროფები).

ამიტომ შემადგენლობის დასაწყისში სამი ორთქლმავალია. მუხრუჭისათვის თუჯის საჭიდები იმდენად მჭიდროთ არიან დაბჯენილი ვაგონის თვლებზე, რომ თუ ღამე ვნახეთ მომავალი მატარებელი ზევიდან ქვევით (ხაშურის მხრიდან-ზესტაფონისაკენ), გარკვეულად დავინახავთ ნაპერწკლებს, ცეცხლს თვლებთან.



მუშათა სახლი ზესტაფონში

მაგრამ ესეც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ შემადგენლობა უვნებლად ჩავიტანოთ თუგინდ სადმარელისამდე. ორთქლმავალი არ კმაყოფილდება თვლების ავტომატური მუხრუჭით. მემანქანე სისტემატურად აწარმოებს კონტრ-ორთქლის მიწოდებას, ეს იმას ნიშნავს, რომ მემანქანე აწვდის ისეთ ორთქლს, რომელიც ორთქლმავალს აამოძრავებს არა იმ მიმართულებით, საითაც მიდის, არამედ მოძრაობის წინააღმდეგ.

როგორც ვიცით, სამუხრუჭო ტექნიკის დარგში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია **ინჟ. კაზანცევის** მუხრუჭებს. უღელტეხილზე ვადასვლის დროს გამოყენებულია კაზანცევის სისტემის მუხრუჭები რაც საგრძნობლად კარგ შედეგებს გვაძლევს.

აღვნიშნავთ კიდევ ერთ გარემოებას, გზა, რომელიც ხაშურიდან ზესტაფონამდე გრძელდება, წარმოადგენს ა-კ. რკინის გზების ვიწრო ადგილს. ვიწროა არა მარტო იმ გაგებით, რომ ამ გზაზე შეუძლებელია მეორე ხაზის გატარება არსებულის პარალელურად, არამედ იმიტომ რომ ეს გზა ხშირად ვერ ასრულებს მასზე დავალებულ ამოცანებს. ტვირთი, მატარებლები, ძალზე ხშირად რომ მიდის ბაქოდან, მახაჩ-კალიდან, დერბენტიდან, გროვდება სად. ხაშურში და უცდის თუ როდის გამოივლის ერთი მატარებელი რომ გაიშვას მეორე. ასეთი ხანგრძლივი „რიგში დგომა" ხელს გვიშლის ტვირთზიდვის გეგმის განხორციელების საქმეში.

ამაში ერთ-ერთი ბრალი მიუძღვის იმ ორთქლმავალს, რომელმაც ასი წლის განმავლობაში დიდი სამსახური გაუწია კაცობრიობას, მაგრამ დღეს კი აღარ შეესაბამება მოთხოვნილებას.

(დასასრული იქნება)

**საშა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავტოგზის ნორჩი მეგობრები

> ...როდესაც დავსვამთ სსრ კავშირს ავტომობილზე, მუჟიკს კი ტრაქტორზე, — სცადონ პატივცემულმა კაპიტალისტებმა ჩვენი დაწევა...
>
> **სტალინი.**

## მოტორისა და გზისათვის



მოსკოვში, იქ, სადაც წინად იყო ტიუფელის რაყა, აღმოცენდენ საავტომობილო ქარხნის **„ამო"-ს** ტინობის შენობები.

ნიჟნი - ნოვგოროდში აწყობენ ავტოგიგანტის უკანასკნელ აგურებს.

იაროსლავლში ხდება მძიმე ტვირთმზიდავი ავტომობილების ქარხნების რეკონსტრუქცია.

სტალინგრადის, პუტილოვის, ხარკოვის ტრაქტორების ქარხნებში დუღს მუშაობა.

შენდება ავტომობილების, მოტოციკლეტების, ველოსიპედების, სალტეების და ელექტრო - მოწყობილობების ახალი ქარხნები.

საბჭოთა კავშირი ხდება ავტომობილებისა და ტრაქტორების ქვეყნად.

ყველასათვის ცნობილია, რომ ავტომობილი და ტრაქტორი გაცილებით უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ჩვენი ძველთა - ძველი ხარ-კამეჩი, ჩვენი სოფლის ურემსა ან სახნისში შებმული.

მაგრამ მაინც:

### იცით თუ არა, რომ

ავტომობილს შეუძლია ერთბაშად გადაზიდოს რკინის გზის რონოდის მთელი ტვირთი, სწევს სიმძიმეს, გადაჰყავს ჯოგი, გამოიყენება ესადგურად, სთხრის ორმოებს, ტელეგრაფის ბოძების დასადგმელად, აკეთებს გზებს, სწმენდს და ასუფთავებს ქუჩებს, ათავისუფლებს გზებს თოვლისგან?

### გაგიგონიათ თუ არა, რომ

ტრაქტორი ხერხავს ხეებს, ეზიდება დატვირთულ რონოდებს, ომში იჭრება მძიმე ზარბაზნებით, უგზო ადგილებში, ტყეში, ტალახში.

აი რამდენს ჩვენთვის სრულიად უცნობ და ცოტათი ცნობილ სამუშაოს ასრულებენ ავტომობილი და ტრაქტორი. ამით რა თქმა უნდა, სია არ ამოიწურება. არა აქვს საზღვარი ავტომობილების და ტრაქტორების სახალხო მეურნეობაში გმოყენებას. ყოველწლიურ გვევლინება ახალ-ახალი კონსტრუქციები, ჩნდება ახალ-ახალი ასპარეზი მათი გამოყენებისთვის.

საბჭოთა კავშირს — მისი განუსაზღვრელი უდაბნოებით, სადაც დღეს კიდევ ზანტად მიაბიჯებენ აქლემები, ინდუსტრიის გიგანტთა მშენებლობას, სადაც ყოველივე უნდა იყოს მექანიზირებული და დაჩქარებული, — კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს, საიდანაც ქალაქისკენ მიიმართებიან ნელის ნაბიჯით ცხენიანი საზარგულები, ჩვენს ქალაქებს — მუდმივად **ესაჭიროება ავტომობილი და ტრაქტორი, ისე როგორც პური, როგორც ლითონი, როგორც ელექტრობა.**

შეუძლია თუ არა სახელმწიფოს, რომელიც აშენებს თავის სოციალისტურ მრეწველობას და სოფლის მეურნეობას, რომელიც სძლევს ტექნიკის საუკუნოებრივ ჩამორჩენილობას, ისევ ულონო ცხენებით და უგზო ადგილებში მიმოსვლა?

### მანქანები იქნება

პირველი ათასები უკვე გადმორბიან „ამო"-ს, „აკი"-ს და ტრაქტორთა ქარხნების კონვეიერებიდან. ცუდათაა საქმე გზების მხრივ. არაჩვეულებრივი ღონისძიებაა საჭირო საბჭოთა მანქანებისათვის საჭირო გზების ქსელის გაყვანისთვის. „ფორდები" და „ავტო - კარები" ვერ გაივლიან ჩვენს ტალახიან და ოღროჩოღრო გზებზე, ვერ გადაივლიან უხიდოდ, ხალხის მხრივაც ცუდათაა საქმე, მანქანებს ხალხი ესაჭიროება: შოფერები, მექანიკოსები, ამწყობნი, ინჟენრები, ტექნიკოსები კონსტრუქტორები.

ძნელია ასეთი ამოცანების დაძლევა. მთელი საბჭოთა ძალების შეერთებაა საჭირო, რომ სხვა გამარჯვებებთან ერთად ამ ამოცანასაც გადავაბიჯოთ.

### საავტოტრაქტორო და საგზათამშენებლო ხუთწლედის მუშაკებს ეხმარება ავტოგზა

მშენებლებთნ და მუშებთან ერთად იბრძვის ავტოგზა სამფინგეგმის შესრულებისთვის, ის აბამს მილიონიან მასებს ტექნიკის დაუფლების საქმეში, ავტოსაქმის შესწავლაში. ავტოგზის სოფლის კოლექტივებს გაყავთ ახალი გზები, ისინი არიან ძველი გზების შემკეთებელნიც. ავტოვზა აგროვებს თანხებს სამხედრო ავტომობილების გასაკეთებლად, ის გეგმავს და აშენებს ახალი ტიპის გლისერებს. (პატარა მდინარეებზე, სამოძრაო გემებს).

— ყოველივე ეს ინჟენერებისა, ტექნიკოსების და მუშების საქმეა, ჩვენ კი პიონერებმა, ავტოგზაში აბა რა უნდა გავაკეთოთ, — იტყვიან ზოგიერთები.





თურმე საქმე კი სულ სხვაგვარად არის. უკვე ორი წელია ავტოგზასთან მუშაობს სექცია ბავშვებთან მუშაობისთვის—**ანმ.**

**ნორჩი მეგობრები საბჭოთა კავშირის საგზაო მშენებლობისა და ავტომობილიზაციისათვის მებრძოლნი არიან**

სწავლობენ ბავშვები საავტომობილო საქმეს, ემზადებიან გახდენ შოფერები, აკეთებენ მოდელებს, იგონებენ, მუშაობენ გარაჟებში და, სამანქანო - სატრაქტორო სადგურებში, ქარხნებში და მშენებლობაზე, ეხმარებიან ახალი გზების გამყვანთ, აგიტაციას ეწევიან ავტოგზის სასარგებლოდ.

სამუშაო ბევრია, სამუშაო დიადი, საინტერესო და აუცილებელი.

როგორ არის აგებული ავტომობილი? რა ბერკეტებია შოფერის გვერდით, რა პედალებია მის წინ? როგორ უნდა მათი სარგებლობა? ეცვლება სისწრაფე ავტომობილს? როგორ ყირავდება ტვირთმზიდავის ბაქანი? რატომ არის არჩეული ყველა საზღვარგარეთულ მანქანა (ისინი კი ბევრნი არიან — როგორები, რა განსხვავებაა მათ შორის?) საბჭოთა კავშირში დასამზადებლად „ფორდი"? რისთვის გვჭირდება ჩვენ ექვსბორბლიანი ავტომობილები?. ტრაქტორის როგორი ტიპი რისთვის გამოიყენება? რაში გვესაჭიროება ჩვენ გლისერები, ჰაერომარხილები?. როგორ მუშაობს მოტოციკლი?

**კითხვები, კითხვები, კითხვები**

პასუხის ცოდნა, ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება, პატარა „ფორდ"-ის მოდელის გაკეთება შესასწავლად, გამოფენისათვის; არსებული მოძრაობის დროს გათვალისწინება გზებისა (რატომ აკეთებენ მოსკოვში რიყის ქვის, ასფალტის და ძელურ ქვაფენილებს); როგორ ვიბრძოლოთ ავტოტრაქტორების ქარხნებში, სახელოსნოებში, გარაჟებში,



სამანქანო - სატრაქტორო სადგურებში, გზის მშენებლობის უბნებში საწარმოო გეგმების შესრულებისათვის; როგორ დავეხმაროთ უფროსებს გზების მშენებლობაში, მათ შეკეთებაში, მათ დაცვაში, ხეების დარგვაში გზისპირზე; როგორ შევისწავლოთ ქუჩაში მოძრაობის წესები და განვუმარტოთ იგი სხვას, ვუამბოთ სხვებს საკუთარ მუშაობაზე, ავტოდორზე, მივიზიდოთ დაუორგანიზებული ბავშვები **ანმ**-ის ჯგუფებში, რომ დავუახლოვოთ ისინი პიონერორგანიზაციებს, — **ასეთია ანმ-ის ჯგუფების** ამოცანები და საქმეები.

თარგ. თ. მოდებაძე.

# მოზარდ მაყურებელთა თეატრი

## „ა უ რ ი ე რ გ ო ლ ი"

**კომედია 4 მოქმედებად ს. მთვარაძის. დადგმა გ. დარისპანაშვილის**

მოზარდ თაობის კომუნისტურ პრინციპზე აღზრდა — აი, ამოცანა, რომელიც ამ ჟამად ჩვენს წინაშე დგას, კლასობრივი მტერი გაათვითრებული ბრძოლას აწარმოებს ახალგაზრდობის დასაპყრობად, იგი ამ მიზნით ბრძოლის ყოველგვარ საშუალებებსა და მეთოდებს მიმართავს. ჩვენი ამოცანა სწორედ მასში მდგომარეობს, რომ მოზარდი თაობა აღვზარდოთ კომუნისტურად და ფართოდ ჩავაბათ სოციმშენებლობის პრაქტიკულ საქმიანობაში.

ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოზარდ მაყურებელთა თეატრს, რომელმაც სცენიდან მაყურებელ ბავშს უნდა უჩვენოს სოციალისტურ საზოგადოების მშრომელ მასის გმირული ბრძოლა და შრომის ბოლშევიკური ენტუზიაზმი. სცენაზე უნდა ვნახოთ ჩვენ ახალი ადამიანები, რომლებიც მტკიცედ იბრძვიან ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის. —

მოზარდ მაყურებელთა თეატრი მის წინაშე მდგარ გაზრდილ ამოცანის შესრულებას შესძლებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მის ყოველდღიურ საქმიანობას მოუდგებით მკვეთრი ბოლშევიკური თვითკრიტიკით და ვამხელთ იმ ნაკლს, რომელიც მის წინსვლას უშლის ხელს. ჩვენ ამ მხრივ ძალზე ცოტას ვაკეთებთ. მოზარდ მაყურებელთა თეატრის დადგმებზე ვერ ვხვდებით კომუნისტურ კრიტიკას, ვერ ვხვდებით იმ ნაკლის აღნიშვნას, რომელიც მათ ახასიათებს. ეს ძალიან მავნე და ცუდი ჩვეულებაა. ჩვენი ამოცანა მასში უნდა მდგომარეობდეს, რომ შეცდომების მხილებით ავაცდინოთ თეატრი იმ უარყოფით შედეგებს, რომელიც შედეგად მოსდევს შეცდომების დაფარვას. ამ მხრივ ჩვენ ძალზე მოვიხუსტებთ. არ ვიცნობთ სათანადოდ მოზარდ მაყურებელთა თეატრის პრაქტიკულ საქმიანობას, არ ვესწრებით სისტემატიურად მის ცალკეულ დადგმებს, არ ვახდენთ და არ ვუწევთ მათ სათანადო კრიტიკას. თუ ვუკეთებთ კრიტიკას, მაშინ ან ვაქებთ, ან ვაგინებთ. ეგ არვარგა, ძალზე ცუდია, რადგან ამით ჩვენ თეატრს ვერ ვუწყობთ ხელს შეცდომების გამოსასწორებლად. ამ მდგომარეობას — მოკლედ, რომ ვსთქვათ, ინდიფერენტულ განწყობილებას, მოზარდ მაყურებელთა თეატრისადმი ბოლო უნდა მოეღოს.

ჩვენი ამოცანა მასში უნდა მდგომარეობდეს, რომ შეერთებულ ძალით გამოვასწოროთ ის ნაკლი, და უარყოფითი მხარეები, რომელიც ამჟამად თან ახლავს მოზ. მაყ. თეატრის მუშაობას. ჩვენი მიზანია ამ წერილში მოკლედ გავარჩიოთ მოზარდ მაყურებელთა თეატრის ერთ-ერთი დადგმა— „აურიე რგოლი", რომელიც დიდი წარმატებით მიდის თეატრში. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელ ხანს წარსულ წლებთან შედარებით ჩვენმა თეატრმა, როგორც იდეოლოგიურად, ისე ფორმალურად მნიშვნელოვან გამარჯვებებს მიაღწია, მაგრამ ეს გარემოება არ ნიშნავს მას, რომ თეატრს არ ჰქონდეს რაიმე ნაკლი, მაგალითისათვის საჭიროა ჩვენ დავასახელოთ თეატრის ისეთი დადგმა, როგორიცაა „კიბო-ვას", რომელიც აგვიწერს დაღესტანის გასაბჭოების ამბავს. ავტორის გაგებით რევოლიუცია დაღესტანში ზეციდან ჩამოფრინდა. გარედან მოვიდა. შიგ არ იყო ნიადაგი მომზადებული, არ წარმოებდა ადგილობრივ (დაღესტანში) რევოლიუციონური ბრძოლა არსებულ ყოფის წინააღმდეგ და სხვა. ჩვენ ამ პიესის გარჩევას აქ არ შევუდგებით, ეგ სხვა დროის და სხვა წერილის საქმეა, მაგრამ ჩვენი აზრით კიდევ ვიმეორებთ, საჭიროა მკვიდრი ბოლშევიკური კრიტიკის წარმოება შეცდომის მხილებისათვის, რათა მომავალში არ იქნას დაშვებული ასეთი შეცდომები.

პიესა „აურიე-რგოლი" ეხება საბ. სკოლის ცხოვრებას. მოცემულია ერთი მხრივ ბეჯითი მოწაფეთა და მეორე მხრივ ზარმაც მოწაფეთა ჯგუფი". „აურიერგოლის" წევრები, რომლებიც დროს მხოლოდ მარტო მასხრობასა, თამაშობაში და მოხუცრიგნო ამბების ჩადენაში ფლანგავენ, სკოლაში არაფერს არ აკეთებენ. ერთი მხრივ ბეჯითი მოწაფეები და მეორე მხრივ გადაგვარებული „აურიე რგოლის"

წევრნი. აი პიესის ძირითადი დედა აზრი. ბეჯითი მოწაფეების ჯგუფი კარლოს მეთაურობით აქტიურად იბრძვის „აურიე რგოლის" წევრების გარდასაქმნელად, მაგრამ მაინც არაფერი არ გადის. ისინი თავისას არ იშლიან, მაინც ხულიგნობენ ქუჩაში და სკოლაში. დადიან თავისუფლად. ატყუილებენ მშობლებს, დროს ტყუილა აცდენენ, ბოლოს მათ ასამართლებენ. ხდება გარდატეხა „აურიე რგოლის" ერთ-ერთ მთავარ წევრ წუკაში, რომელსაც შემდეგ სხვებიც ბაძავენ და ისინი სასამართლოს წინაშე იძლევიან პირობას, რომ მომავალში არ გაიმეორებენ მას, რაც მათ დღემდე ჩაუდენიათ. მათ ყველაფერს აპატიებენ. ამით თავდება პიესა. როგორც ვხედავთ, პიესის შინაარსი მეტად მნიშვნელოვანია და მტკივნეულ საკითხებს ეხება. მაგრამ ავტორის (ამხ. მთვარაძის) შეცდომა მასში მდგომარეობს, რომ მან სკოლის უარყოფითი მოვლენები ძალზე გაზარდა და ისინი მოხაზა შავი ფერებით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ შეიძლება ბოლოს და ბოლოს დღეს სკოლაში იყოს ისეთი ტიპები, იმ სახით, როგორიცაა „აურიე რგ." წევრები, რომლებიც დარდიმანდ მოქეიფე აზნაურების ფუქსავატ შვილებს უფრო გვანან, ვიდრე მუშურ ოჯახში აღზრდილებს, კერძოდ წუკა, რომელიც „აურიე რგოლის" ხელმძღვანელია. რკინისგზელის შვილია, მუშური წრიდანაა გამოსული, მაგრამ მას მუშური არაფერი არ ატყვია. იგი უდარდელი და ფუქსავატია, რომელიც ქუჩაში ხულიგნობს. ასეთივეა სხვებიც. ჩვენ არ უარვყოფთ იმ ფაქტს, რომ ვითომდა სკოლაში არ ქონდა ეს ადგილი „აურიე რგოლში" მოცემულ მსგავს ამბებს, არა — ეგ კაზიონური ოპტიმიზმი იქნებოდა, მაგრამ ალბათ ავტორი დაგვეთანხმება იმაში, რომ დღეს სკოლებში მოწაფეები გაკვეთილებზე დოლს არ უკრავენ და არც მღერიან. შეიძლება იყონ და არიან კიდეც ზარმაცები, მაგრამ არა ისეთები, როგორც „აურიე რგოლი"-ს წევრებია. ავტორის მეორე შეცდომა მასში მდგომარეობს, რომ მან ვერ მოგვცა სათანადოთ ბრძოლის ის საშუალებები, რომლებსაც ზარმაც მოწაფეების წინააღმდეგ აწარმოებენ დღეს საბჭოთა სკოლაში. ცხადია, კარლოს მეთაურობით სწარმოებს ბრძოლა „აურიე რგოლი"-ს წინააღმდეგ, მაგრამ ეგ ბრძოლა არის უორგანიზაციო, რომელიც წითელ ზოლივით მოჩანს პიესაში. აქედან გამოდის, რომ „აურიე რგოლი"-ს წევრები ჭარბობენ, ზოგჯერ აძლევენ კიდეც ბეჯით მოწაფეებს, შეიძლება ამის მიზეზი ის იყოს, რომ ბეჯით მოწაფეთა კოლექტივი თამაშის მხრივ არ დგას თავის სიმაღლეზე. კერძოდ კარლო, (ი. ნინუა, თვალიაშვილი), რომელსაც მეტად საპასუხისმგებლო როლი აკისრია ზოგჯერ მიდის სენტიმენტალობამდე, ზედმეტ მეგობრობამდე, რომელიც თავისებურ ზეგავლენას ახდენს „აურიე რგოლზე". ზოგ შემთხვევაში კარლოს საქციელი ახალისებს კიდეც წუკას და სხვებს (ცხადია აქედან ის დასკვნა არ უნდა გამოიყვანოს არავინ, რომ ვითომდა კარლო ხელს უწყობდა მათ საბოლოოდ, მაგრამ ზოგიერთ მომენტებში ეს ასეა. კ. მ.)

კიდევ ვიმეორებთ პიესა უდაოდ მნიშვნელოვანია და იგი მორიგი გამარჯვებაა ავტორის, მაგრამ მასში დასმული საკითხები არის ძალიან გადაჭარბებული. შავი ლაქებით მოხაზული, რომელსაც ამტკიცებს მთელი რიგი მაგალითები.

ეგ გადაჭარბება მაყურებლისათვის ადვილი შესამჩნევია. ამ მდგომარეობას ზოგჯერ ხელს უწყობს მსახიობების გადაჭარბებული თამაში. კერძოდ, არავინ არ დავობს მასში, რომ ამხ. კუპრაშვილი კარგი მსახიობია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ იგი პიესაში მთელ რიგ მომენტებში ძალზე აჭარბებს და როლს ტვირთავს ზედმეტ განცდებით. მაგ.—სცენა სკოლაში გეოგრაფიის გაკვეთილზე და იქ წუკას საქციელი.



რეჟისორი გ. დარისპანაშვილი

ამხ. კუპრაშვილის მიერ წუკას როლის შესრულება სხვა მხრივ შეიძლებოდა. მეორე მომენტი — სცენა ოთახში და იქ წუკას მოქმედება მოხუც ბებიასთან, ძალზე გადაჭარბებულათაა გაგებული კუპრაშვილის მიერ. ეს გარემოება თავისებურ ზეგავლენას ახდენს მოზარდ მაყურებელზე. საერთოდ მოზარდ მაყურებელთა თეატრის მთავარი მიზანი მასში უნდა მდგომარეობდეს და მდგომარეობს კიდეც, რომ მან აწარმოოს ბრძოლა უარყოფით მოვლენების წინააღმდეგ, და მსახიობიც ყოველთვის იმას უნდა ცდილობდეს, რათა მაყურებლებში გამოიწვიოს ზიზღი უარყოფითი მოვლენებისადმი. მაგალითად, კიდევ ვიმეორებთ, კუპრაშვილის მთავარი ნაკლი მასში მდგომარეობს, რომ იგი ზოგჯერ „არტისტულ თავდავიწყებამდე" მიდის, რაც ძალიან ცუდია. ამხ. კუპრაშვილი აზვიადებს, ამლაშებს ამა თუ იმ მოვლენას, ამა თუ იმ ფაქტს, ეს მდგომარეობა კი ამხ. კუპრაშვილმა უნდა დასძლიოს. კარგი და გადაუჭარბებელია ამხ. კუპრაშვილი — „აურიე რგოლის" უკანასკნელ მოქმედებაში სასამართლოს წინაშე, კარგადაა გაგებული აგრეთვე კუპრაშვილის მიერ ის მომენტი, როდესაც მასში ხდება გარდატეხა და ფუქსავატურ ცხოვრებაზე იღებს ხელს. კარგად ასრულებს კუპრაშვილი იმ მომენტსაც, როდესაც იგი ტიტეს ცილდება რისხვით, იმისათვის, რომ ტიტე არ მიყვება წუკას, რომელსაც სურს დაიხსნას მათი გულისათვის ტყვილა უბრალოდ სასამართლოს წინაშე მდგარი უდანაშაულო კარლო, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, ეგ სრულიადაც არ ფარავს იმ შეცდომებს, რომელიც ზოგჯერ ამხ. კუპრაშვილს ახასიათებს ამა თუ იმ როლის შესრულების დროს.

აუცილებლად განსაკუთრებით აღსანიშნავია პიესის დადგმა, რომელიც ეკუთვნის ქ-კ. ამხ. გ. დარისპანიშვილს. უდაოდ დადგმა მნიშვნელოვანია და მთელი რიგი მომენტები ძალზე მოხდენილადაა გაკეთებული. კერძოდ, კარგია ის მომენტი, როდესაც „აურიე რგოლი"-ს ასამართლებენ. ამ გასამართლებაში მონაწილეობას ღებულობს არა მარტო მსახიობები, არამედ მთელი მაყურებელი დამსწრე, მოზარდი მაყურებელი ორგანიზულად განიცდის მას, რაც ხდებოდა მთელი პიესის მანძილზე, რომლის მთელი შეჯამება უდაოდ სასამართლოს პროცესია, ამ გასამართლებაში მონაწილეობას ღებულობს ყველა.

ეგ ძალიან კარგი ხერხია, ეგ ერთ-ერთი საშუალებაა, თუ გნებავთ [illegible] თეატრი უფრო ახლო მივიდეს მასასთან და ჩასწვდეს მას. კარგადაა აგრეთვე გაკეთებული სცენა ხიდზე — საერთოდ დადგმა მნიშვნელოვან ხარისხისაა, მაგრამ მასშიდაც არის გადამლაშებები. შეიძლება უმნიშვნელო იყოს, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, როდესაც გორაზე მეცადინეობის დროს ოთარს უკან ქაღალდს გამოაბამენ და ცეცხლს უკიდებენ. ეს მომენტი ძალზე ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს მაყურებელზე. კარგადაა რეჟისორის მიერ გაკეთებული ის მომენტი, როდესაც ივანე — წუკას მამა სკოლაში დაეძებს თავის შვილს, რომელსაც უდავოდ ხელს უწყობს ყიასაშვილის დინჯი, აუჩქარებელი, დაკვირვებული და წინასწარი მოფიქრებული თამაში. ყიასაშვილი ამ როლში მეტად მძლავრია. გარდა ამისა, არის მთელი რიგი მომენტები, რომლებიც დადგმის ღირსების და დარისპანიშვილის, როგორც რეჟისორის ნიჭიერების შესახებ ლაპარაკობს. კერძოდ, კარგადაა გაკეთებული ის მომენტი, როდესაც „აურიე რგოლს", მოსდევს მილიციონერი დასაჭერად — ასეთი ფაქტების მოყვანა მრავლად შეიძლება პიესიდან.

რაც შეეხება მსახიობებს, განსაკუთრებით აღსანიშნავია კაკის როლში ლივარდი, რომელიც ყოველგვარ გადამლაშების გარეშე კარგად ასრულებს თავის როლს. კარგია ამხ. მიქაშავიძე (ოთარ). კარგად ასრულებს როლს ამხ. შავლიაშვილი (ტიტე), ზოგიერთ გადაჭარბებების გამოკლებით. ძალზე აჭარბებს როლს გ. დეისაძე (დათო), რომელიც ზოგჯერ ვერ გრძნობს თავს, თუ იგი სცენაზეა და თავდავიწყებით ყვირის უადგილო ადგილას. ამათ გარდა კარგად ასრულებს თავიანთ როლებს ნინუა (კარლო), თვალაძე (თენგიზ), ერგნელი (ბებია), და სხვა. დეკორაციები მხატვარ გოცირიძის მიერ, კარგადაა შესრულებული.

რა შეგვიძლია ჩვენ ვთქვათ საბოლოოდ აღნიშნულ პიესის შესახებ? პიესა უდავოდ მნიშვნელოვან და მტკივნეულ საკითხებს ეხება, მაგრამ მას აქვს ნაკლიც, რომელიც ჩვენს მიერ ზემოდ საკმაოდ იყო აღნიშნული. თეატრიც უშვებს იმ შეცდომებს, რომელიც პიესას გააჩნია, მაგ. „აურიე რგოლი"-ს ტიპების ძალზე გაზვიადება და სკოლის ყოფა-ცხოვრების შავი ხაზებით მოხაზვა.

აღნიშნულ პიესით თეატრმა, მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს მთელი რიგი დეფექტები, მნიშვნელოვან გამარჯვებებს მიაღწია.

„აურიე რგოლი", გამარჯვებაა არა მარტო მთვარაძის, როგორც ავტორის, არამედ თეატრის. ამ პიესის დადგმით თეატრმა ერთხელ კიდევ ზედმეტად დაამტკიცა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის მოზ. მაყ. თეატრის არსებობას.

დასასრულ ჩვენი ამოცანა მასში უნდა მდგომარეობდეს, რომ ვაწარმოოთ ბოლშევიკური კრიტიკა თეატრის მიმართ მათ მიერ დაშვებულ შეცდომების და შემჩნეულ ნაკლის გამოსასწორებლად, რომელიც უზრუნველყოფს თეატრის სწორი გზით სვლას.

თეატრის ამოცანად კი რჩება: პასუხი გასცეს იმ საკითხებს, რომელსაც დღეს მათ წინაშე აყენებს რეკონსტრუქციის პერიოდი და აწარმოოს ენერგიული ბრძოლა მოზარდთა კომუნისტურ პრინციპებზე აღზრდისათვის.

ქ. მელაძე.

ამ წერილით ვიწყებთ დისკუსიას მოზარდ მაყ. თეატრის დადგმების ირგვლივ.

ამხ. პიონერებო! მოგვაწოდეთ მასალები.

რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



„აურიე რგოლი“, სცენა მე-3 მოქმედებიდან


საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო კომისარიატის ჟურნალი—ბავშვთათვის

წელიწადი VII „პიონერი“ წელიწადი VIII

გამოდის თვეში ორჯერ

„პიონერი“ ემსახურება ბავშვების კომუნისტურად აღზრდის დიად საქმეს.
„პიონერის“ ამოცანაა—თავის ირგვლივ შემოკრიბოს ბავშვთა ფართო მასები.
„პიონერ“-ში სისტემატიურად მოთავსდება წერილები, ლექსები, მოთხრობები და მხატვრული ნარკვევები მიმდინარე პოლიტიკურ კამპანიების შესახებ.
„პიონერი“-ს მთელი შინაარსი და ხასიათი შეფარდებულია სოციალისტური მშენებლობის მიერ დასმულ საკითხებთან.
„პიონერს“ უნდა კითხულობდეს ყოველი პიონერი და ხელს უწყობდეს მის ფართოდ გავრცელებას შეუკავშირებელ ბავშვთა შორის.

ხელის მოწერის პირობები: 1 წლით 4 მან., 1/2 წლით 2 მან. 20 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება:

1. ტფილისში—პერიოდსექტორში—ჯორჯაძის ქ. № 1.
2. სახელგამის ტფილისის და პროვინციის მაღაზიებში.
3. სათანადო უფლებით აღჭურვილ რწმუნებულებთან.
4. ფოსტა-ტელეგრაფის ყველა კანტორაში.


გაზ. „კომუნისტი“-ს სტამბ. ტფილისი, კამოს ქ., № 68 ტირაჟი 5000. მთავლ. 701. შეკვ. № 483